

**გეოეკონომიკისა და ეკონომიკური  
გეოგრაფიის აქტუალური საკითხები**

**Ivane Javakishvili Tbilisi State University**  
**Faculty of Social and Political Sciences**  
**Human Geography Direction**

**Current Issues of Geoeconomics and  
Economic Geography**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

## გიორგი კვინიკაძე

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური  
გეოგრაფიის აქტუალური საკითხები



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია 2010-2013 წლებში გამოქვეყნებული ის სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც ჩართულია სალექციო კურსში „გეოეკონომიკის საფუძვლები“. აღნიშნულ კურსს გადიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტები. ვფიქრობთ, ამ მხრივ, კრებული დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოდ.

***კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების დაარსებიდან 90 წლისთავის იუბილეს.***

სამეცნიერო რედაქტორები: ***ამირან ბერძენიშვილი*** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

***დალი ოსეფაშვილი*** – ფურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ***გიორგი გოგსაძე*** – საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი. გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი

***ზურაბ დავითაშვილი*** – საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი. გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტოლოგიის დოქტორი, პროფესორი

## სარჩევი

ნინასიტყვაობა .....	7
მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია და ეკონომიკური გეოგრაფია .....	9
ერი-სახელმწიფო – მსოფლიოს გეოეკონომიკური არქიტექტურის ძირითადი გამოწვევა .....	26
გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრიულობის გეოეკონომიკური მოდელები .....	33
გეოეკონომიკის საგანი – პოლემიკა ახალი დისციპლინის გარშემო .....	42
ეკონომიკური უსაფრთხოებიდან გეოეკონომიკურისაკენ (კონცეპტუალური პრობლემები) .....	51
სამხრეთ კავკასია – ერთიანი გეოეკონომიკური რეგიონი? .....	58
რა არის გეოეკონომიკური ლიმოლოგია? .....	81
მიგრაციისა და ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკური პრობლემები ტრანსნაციონალიზმისა და ტრანსლოკალურობის კონცეფციებში .....	90

## Content

Foreword .....	7
The World's Geoeconomic Transformation and Economic Geography .....	9
Nation State – the Basic Challenge of World Geoeconomic Architecture .....	26
Geoeconomic Models of the Asymmetry of Global Economic Space.....	33
The Subject of Geoeconomics –Polemics around the New Discipline .....	42
From Economic to Geoeconomic Security (Conceptual Problems) .....	51
Is the South Caucasus an Integral Geoeconomic Region? .....	58
What is Geo-economic Limology? .....	81
The Geoeconomic Problems of Migration and Nation-state in the concepts of Transnationalism and Translocality .....	90

## წინასიტყვაობა

წიგნი „გეოეკონომიკის და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“ ავტორის მიერ 2010-2013 წლებში სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ და საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალ „ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების კრებულს წარმოადგენს.

ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა მრავალი ადამიანის მხარდაჭერის გარეშე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მაგისტრანტს ნათია ლვინჯილიას და ამავე მიმართულების კურსდამთავრებულს ქეთევან ფხაკაძეს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცალკეული სტატიების მომზადებაში. ასევე წიგნის რედაქტორებს: ბატონ ამირან ბერძენიშვილს და ქალბატონ დალი ოსეფაშვილს. რეცენზენტებს: ბატონ გიორგი გოგსაძეს და ბატონ ზურაბ დავითაშვილს. მათმა საქმიანმა შენიშვნებმა არაერთი ხარვეზი გამომასწორებინეს, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს კრებულის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში.

მადლიერება მინდა გამოვხატო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობისადმი, წინამდებარე კრებულის დაფინანსებისათვის.

დაბოლოს, ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ კრებული გამოდის საიუბილეო წელს (საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებას დაარსებიდან 90 წელი უსრულდება).

## მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაცია და ეკონომიკური გეოგრაფია\*

*„მე ყოველთვის ვფიქრობდი ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემებზე, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი მას.“*

*პოლ კრუგმანი (ნობელის პრემიის ლაურეატი)*

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ეკონომიკური კეთილდღეობის გზების პოვნა არა მხოლოდ რეალურ გეოგრაფიაში, არამედ ინტელექტუალური აზრისა და ადგილობრივი ტრადიციების მიჯნაზე, ჯერჯერობით დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა მეცნიერება – გეოეკონომიკა, რომელმაც განსაკუთრებული რელევანტურობა გლობალიზაციის ეპოქაში შეიძინა.

*გეოეკონომიკის ფორმირება.* გეოეკონომიკის ფორმირება სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, გეოეკონომიკა ინგლისური, ფრანგული და გერმანული კლასიკური ეკონომიკური აზრიდან იღებს სათავეს. მეორე მხრივ, აღმოცენებულია გეოპოლიტიკური მოდელების წიაღში. მესამე – მისი ფესვები უნდა ვეძებოთ ეკონომიკურ გეოგრაფიაში, რადგან სწორედ ის იძლევა გარკვეულ საწყის პოზიციას გეოეკონომიკის იმ ნაწილისათვის, სადაც „მოქმედებს“ სივრცობრივი ეკონომიკა (სივრცის გამოყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის). ამ ნაწილში საქმე გვაქვს ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოეკონომიკის სიმბიოზთან (კვინიკაძე: 2008.). ეს კავშირები განსაკუთრებით კარგად იკვეთება თანამედროვე მსოფლიოს სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში.

---

\* პროფ. რევაზ გაჩეჩილაძის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. სამეცნიერო კრებული „საზოგადოებრივი გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“. კრებული დამზადებულია შპს „ზევს-გრუპში“, თბ., 2013, გვ. 87-97.

*ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია.* ამჟამად, მსოფლიო მიდის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ჰომოგენიზაციისაკენ. ასეთ ვითარებაში საერთაშორისო სისტემა ტრანსფორმირდება და თუ ადრე მის არსებობას და სტაბილურობას სახელმწიფოები და მათი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება განაპირობებდა, დღეს განსაზღვრავს ეკონომიკური და ფინანსური პოლუსები, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად უკავშირდება სახელმწიფოებს და მძლავრი ტრანსნაციონალური აქტორების სახით გვევლინება.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკელებმა სწორად განსაჯეს, რომ თუ მიაღწევდნენ ეკონომიკურ ძლიერებას, შესაბამისად, შეძლებდნენ მსოფლიო ბატონობის მიღწევას არა სამხედრო გზით. ამ სტრატეგიით გასული საუკუნის მიწურულს აშშ-მა შეძლო ცივი ომის მოგება და მსოფლიო ეკონომიკაში (არა მარტო) ჰეგემონი გახდა.

თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური მიზნები, უპირატესად, გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიით მიიღწევა. იმის მიუხედავად, რომ ყველა საკვანძო გადანყვეტილებას პოლიტიკოსები იღებენ, მათი ზემოქმედების მარგი ქმედების კოეფიციენტი რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ბევრად დაბალია. სწორედ ამიტომ, ბევრი პოლიტიკური გადანყვეტილება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, შეიძლება მხოლოდ ქალაქებზე დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის ბრუნვისა და ინვესტიციებისათვის რეალური პირობები არ შეიქმნება.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, პოლიტიკურ-სტრატეგიული წარმოდგენები, ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების შედეგად, ფაქტობრივად, გაქრა. სისტემა „ბაზარი-სახელმწიფო“ ჩანაცვლდა სისტემით: „ბევრი სახელმწიფო – ერთი ბაზარი“. შედეგად შეიცვალა: ა) პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის დამოკიდებულება; ბ) დაირღვა ჩამოყალიბებული კავშირები სახელმწიფოს, ტერიტორიასა და სიმდიდრეს შორის; გ) წაიშალა ზღვარი „საშინაოსა“ და „საგარეოს“ შორის.

ბიპოლარულ მსოფლიოში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. ორი ზესახელმწიფო კონკურენციის პირობებში „ნულოვანი ჯამით“ უზრუნველყოფდა Status quo-ს. ამჟამად, მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში უკვე აღარ არსებობს ასეთი გამყოფი ხაზები. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური სივრცე კვლავ არაერთგვაროვანი რჩება. ეს გარემოება მხოლოდ იმით როდი აიხსნება, რომ ეკონომიკური სივრცეები იცვლება მოთხოვნილებებისა და მიწოდების დინებათა ზემოქმედებით (ამ მხრივ, პოლიტიკური სივრცეები უფრო სტაბილურები არიან, ვინაიდან ისინი შემოსაზღვრულები არიან სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრებით), არამედ იმითაც, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი განსხვავებები იმ სამუშაო ძალის ღირებულებებს შორის, რომელთაც იყენებენ მენარმეები და სახელმწიფოები და ამ ძალით მანიპულირებენ საკუთარი სარგებლის მისაღებად.

ბიპოლარულობის პერიოდის გეოპოლიტიკური კონკურენცია, რომელიც სტრუქტურირდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, უკვე აღარ არსებობს (Krugman: 1991). სწორედ ამიტომ, ბევრი მეცნიერი თვლის, რომ სამხედრო ხელისუფლება დარჩა ორპოლარული, ხოლო ეკონომიკური კი მრავალპოლარული გახდა.

ამ მოცემულობაში, ერთი მხრივ, გაქრა ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავდა ეკონომიკურ მეტოქეობას აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის (ამ პირობებს განსაზღვრავდა ის, რომ საბჭოთა საფრთხიდან გამომდინარე, ევროპა და იაპონია აშშ-ის სტრატეგიულ გარანტიებს საჭიროებდა), რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო გადავიდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალ რეჟიმში. მეორე მხრივ, გაქრა ის პირობებიც, რომელიც ხელს უწყობდა კონფლიქტური სიტუაციის შექმნას მესამე სამყაროში, რომლის ინიცირებასაც ორპოლუსიანი მსოფლიო ახდენდა.

ორპოლუსიანობის დროს ასეთი სიტუაცია არ სცდებოდა გარკვეულ საზღვრებს. სხვა შემთხვევაში მას შეეძლო გამოენვია ორი ზესახელმწიფოს ჩარევა. ისინი, თავის მხრივ, უფრო ხოლმე პირდაპირ დაპირისპირებას, რომელიც შეიძლებოდა ბირთვულ დაპირისპირება-

ში გადაზრდილიყო. ამჟამად, მესამე სამყარო სულ უფრო ძლიერად იხლიჩება დაპირისპირებულ ჯგუფებად. ეს ჯგუფები ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ, რათა დასავლეთის სახელმწიფოებიდან მიიღონ ეკონომიკური დახმარების რაც შეიძლება მეტი კვოტები. მაგალითად, ჩრდილოეთი აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობები, პრაქტიკულად, ნულზეა დაყვანილი. სამაგიეროდ, რეგიონის ცალკეული ქვეყნები გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ურთიერთობებს განვითარებულ ჩრდილოეთთან.

კეთილდღეობა და უსაფრთხოება არასამხედრო მუქარის პირობებშიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა „ემსახურებოდა“ შეიარაღებულ ძალებს, ახლა მდგომარეობა საპირისპიროდ არის შეცვლილი. დღეს შეიარაღებული ძალების ფუნქციაა შეამციროს ის პოლიტიკური რისკები, რაც უკავშირდება ინვესტიციებს და სავაჭრო ურთიერთობებს.

ასეთ პირობებში სულ უფრო სუსტდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ პროცესებში. დიდი ალბათობით, მოხდება სახელმწიფოს ფუნქციის გადაფასება, რადგან სახელმწიფომ, როგორც ინსტიტუტმა სერიოზული ეროზია განიცადა შემდეგი მიმართულებით: ზემოდან – ზენაციონალური ინსტიტუტებისა და მძლავრი ტრანსნაციონალური ძალების ზეგავლენით; ქვემოდან – რეგიონალიზმის ტენდენციების ზემოქმედებით. ეს ძალები ხელს უწყობენ რა სახელმწიფოს ძალისა და როლის დასუსტებას, ბუნებრივად მისწრაფვიან გაერთიანებისაკენ. მიუხედავად ამისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფოს როგორც ინსტიტუტის სტაბილურობას, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მის ძალას, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის დასაყრდენს და სოციალური სამართლიანობის გარანტს. ამასთან, კვლავ დიდია სახელმწიფოს როლი კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მომავალი გეოპოლიტიკური მოწყობა მაინც მოექცევა ეკონომიკის გავლენის ქვეშ.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებს მოუწევთ გარე ფაქტორების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინება ერის კეთილდღეობისათვის და, იმავედროულად, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდგომარეობის შექმნას (როგორც ამას აკეთებს იაპონია ექსპორტისა და ინვესტიციების სტიმულირებისათვის უცხოეთში). ასეთი მიდგომა, ყველაფერთან ერთად, წარმოადგენს საკუთარ ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნის ეფექტურ საშუალებას (Peter, Drucker: 1994).

ამდენად, ტერიტორიული გეოპოლიტიკური ლოგიკა უკან იხევს და ადგილს უთმობს დინებების ლოგიკას, რომელიც ცდილობს იმ ტერიტორიებთან კავშირის განყვეტას, რომლებიც საზღვრების მეშვეობით სახელმწიფოს ტყვეობაში იმყოფებიან. ამ სიტუაციის შესწავლაზე აკეთებს აქცენტს გეოეკონომიკა.

*გეოეკონომიკის აქცენტები.* გეოეკონომიკა დიდი ხანი არ არის რაც დამკვიდრდა და ამ ცნებაში იგულისხმება როგორც გლობალიზებული მსოფლიოს მონყობის ახალი პარადიგმა, ისე ამ რთული და მრავალმხრივი მოვლენის შემსწავლელი მეცნიერება. კერძოდ, გეოეკონომიკა სწავლობს: „გეოგრაფიულ იმპერატივს, რომელიც გამოიხატება ეკონომიკისა და სივრცის ორგანულ კავშირში; მსოფლიოს ძალისმიერი კონფლიქტების გადატანას სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სიბრტყეში, რომლის დროსაც ადგილი აქვს კონფლიქტების ახალი ტიპის აღმოცენებას (გეოეკონომიკური კოლიზიები); სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას და პოლიტიკას ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში; სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ ლოკალიზაციას; პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმას საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და ამ ბაზაზე სტრატეგიული ურთიერთქმედების და გლობალური მართვის შექმნის შესაძლებლობებს“ (კვინიკაძე: 2008:32).

ამდენად, გეოეკონომიკა ძირითად აქცენტს აკეთებს მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციასა

და მის აქტორთა როლის ცვლილებაზე, რომლის დროსაც რიგი ცნებები დევეალვაციას განიცდის.

*ცნებების დევეალვაცია.* მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ძირათადი ღერძი დღეს გადის არა ეროვნულ, არამედ, „ტრანსნაციონალურ“, „ზეეროვნულ“ და ა.შ. ეკონომიკებზე, ანუ თანამედროვე (გლობალური) ეკონომიკის იმ სუბიექტებზე, სადაც იქმნება მსოფლიო სიმდიდრის უმეტესი ნაწილი. ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკები (ტნბ) ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდნენ მსოფლიო ეკონომიკური სივრცის მთავარ სუბიექტებად. მათთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს სახელმწიფო საზღვრები მაშინ, როცა ახორციელებენ გლობალურ ეკონომიკურ საქმიანობას. ისინი, პრაქტიკულად, გადაიქცნენ მძლავრ ეკონომიკურ სახელმწიფოებად, რომლებიც ფლობენ რეალურ ეკონომიკურ ძალას და განკარგავენ უზარმაზარ ფინანსურ, სანარმოო-ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და ინფორმაციულ რესურსებს.

სწორედ ეკონომიკური ძლიერების თანამედროვე ცენტრების გეოგრაფიული განლაგება ხდება დღეს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო სხვა ქვეყნებზე უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მიიღწევა. შესაბამისად, ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში მოქმედების პრიორიტეტული ინსტრუმენტი ხდება ეკონომიკური და ფინანსური საშუალებების ყველა სახეობა. მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში გლობალიზაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გეოგრაფიული მდებარეობის ცნების ადრინდელი შინაარსი გლობალური ეკონომიკის ახალი აქტორების (ვირტუალური ფინანსები, სხვადასხვა ტიპის მძლავრი ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) და ბანკები (ტნბ), გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – ინტერნეტი და ა.შ) გაჩენით. ისინი ძალზედ „ავიწროებენ“ გეოგრაფიულ ფაქტორს (ტრადიციული გეოპოლიტიკის და ეკონომიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუნდამენტი, რომელიც როგორც გეოპოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სივრცეში უკვე აღარ თამაშობს არსებით როლს, რადგან მას უკვე აღარ შეუძლია დაცვა ბირთვული შე-

ტევისაგან ან ტრანსნაციონალური ტერორიზმისაგან ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მდებარეობის და ფიზიკური მანძილის მნიშვნელობა ეკონომიკაში, მინიმუმამდეა დაყვანილი გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების შედეგად და ქმნიან ახალ, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან გეოგრაფიულ სივრცეს. შედეგად, ამ მოცემულობაში ყალიბდება ახალი გლობალური ეკონომიკური სივრცე (ამ სივრცეს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გეოეკონომიკურ სივრცეს უწოდებენ), სადაც მოქმედებას იწყებენ დეტერიტორიალიზაციის [დედამინის სივრცის ათვისება და ადგილგანვითარების (სამშობლოს) საზღვრებიდან გასვლის პროცესი] ეფექტის მატარებელი მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები.

ამ ახალი სივრცის ძველ სივრცესთან კავშირების შესწავლაზე უნდა აიღოს მომავალში ორიენტაცია ეკონომიკურმა გეოგრაფიამ, რადგან „ეს ახალი სივრცე კავშირშია ძველ სივრცესთან“ – აღნიშნავს ქართველი მეცნიერი ზურაბ დავითაშვილი (დავითაშვილი 2003:199). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საუბარი ტერიტორიული გეოგრაფიის დასასრულზე ჯერჯერობით ნაადრევია. გარდა ამისა, მსოფლიოს გეოეკონომიკური რეალობა ცვლის ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი ცნებების („ეროვნული ეკონომიკა“, „სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი“, „გეოგრაფიული მდებარეობა“ და ა.შ) არსს ან/და ახდენს მის დევალვაციას. მაგალითად, რამდენად ზუსტია დღეს ტერმინ „მსოფლიო ეკონომიკის“ გამოყენება ეკონომიკურ გეოგრაფიაში? თუ ამ ტერმინში ტრადიციულად მოაზრება მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყნის (ეროვნული) ეკონომიკა, რომელიც განიხილება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების, ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში? ვფიქრობ, ასეთი განმარტება არცთუ სრულყოფილია იმ მიზეზის გამო, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკური საზღვრები უკვე აღარ ემთხვევა მათ ეკონომიკურ საზღვრებს, ანუ მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მოთამაშის სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი უკვე არ თავსდება მის პოლიტიკურ საზღვრებში. თანაც, ამ პრო-

ცესში ყალიბდება არასტატისკური ეკონომიკური საზღვრები, სადაც უკვე რთულია დაადგინო, სად გადის ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი, ანუ ზუსტად განსაზღვრო კვლევის გეოგრაფიული არეალი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნული ცნებები დღეს ძალზედ პირობით ხასიათს იძენენ. უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ, თუ ბიპოლარული მსოფლიო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოები თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკის მინდორზე, ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში (როცა მიმდინარეობს დეტერიტორიალიზაციის პროცესი), უკვე ეკონომიკის ტრანსნაციონალური აქტორები იწყებენ თამაშს სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

ზემოთ აღნიშნული ტრანსფორმაციული პროცესებიდან გამომდინარე, გეოეკონომიკის არსი შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაცალიბოთ: *გეოეკონომიკა ორიენტაციას იღებს მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესის შესწავლაზე (მათ შორის, სივრცობრივი ასპექტების შესწავლაზე), სადაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის აქტორები გეოპოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით და პირიქით, ცდილობენ მათთვის საინტერესო (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი) ტერიტორიების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევას (Kvinikadze, Pkhakadze:2012).* ახალი ეკონომიკური სისტემების ფორმირების საწყისები, რომლებიც მოქმედებენ გლობალურ არენაზე სხვადასხვა მიზნებით და ინტერესებით. აი, რას იკვლევს თანამედროვე გეოეკონომიკა. შემოთავაზებული დეფინიციიდან გამომდინარეობს ის მიზნები, რომელიც გააჩნია გეოეკონომიკას და მასთან ახლოს მდგარ ეკონომიკურ გეოგრაფიას.

*ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოეკონომიკის მიზნები.* იმის მიუხედავად, რომ ეს ცნებები გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მიზნები სრულიად განსხვავებულია.

მაგალითად, რესურსების უკმარისობა გეოეკონომიკაში განიხილება, როგორც განვითარების რესურსი. ეკონომიკურ გეოგრაფიაში კი – პირიქით; გეოეკონომიკა დეტერიტოტალიზაციის ეფექტის მატარებელია, ეკონომიკური გეოგრაფიას ასეთი ეფექტი არ აქვს; გეოეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფიისაგან განსხვავებით, არ არის ეროვნული ეკონომიკების უზრალო ჯამი, არამედ იგი ზენაციონალურია და შედგება ტრანსნაციონალური და ტრანსასაზღვრო სისტემებისაგან; გეოეკონომიკაში არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ სხვა ფაქტორებიც გაცილებით პრინციპულია სახელმწიფოს იმიჯისა და გავლენის ხარისხისათვის. კერძოდ, აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ტექნოლოგიურ ინოვაციებს იგი განიხილავს, როგორც ძლიერების საკვანძო კრიტერიუმს და ა.შ.

ამავე დროს, ამ ორ დისციპლინას აერთიანებს საერთო მიზნებიც. ეს მიზნები ფოკუსირებულია ისეთ მეცნიერულ პრობლემაზე, როგორცაა ეკონომიკური აქტივობის გლობალიზაციის მოცულობის დადგენა და მისი სივრცით-დროითი პარამეტრების შესწავლა. ყველაზე უფრო ამ ნაწილში იკვეთება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს გეოეკონომიკასა და ეკონომიკურ გეოგრაფიას შორის.

*გეოეკონომიკა და ეკონომიკური გეოგრაფია.* გასული საუკუნის 70-იან წლებში ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის გამოჩენა მრავალი მეცნიერის აზრით, მოასწავებდა არა მარტო ეკონომიკური გეოგრაფიის, არამედ ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების რევოლუციის მეოთხე ტალღის დადგომას. მისი არსი ისაა, რომ იქმნება კონკურენციის ისეთი მოდელები, სადაც ხდება მზარდი უკუგება რესურსების გამოყენებიდან.

ამ ტიპის კვლევებზე დიდი გავლენა მოახდინა ავინაშ დიქსიტის და ჯოზეფ შტიგლიცის სტატიამ – „მონოპოლიური კონკურენცია და ოპტიმალური პროდუქტის მრავალფეროვნება“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ამერიკის ეკონომიკურ მიმოხილვაში“ (Dixit, Stiglitz: 1977). რიგმა თეორეტიკოსებმა ამ მოდელების ანალიტი-

კური ხერხები 1970-იანი წლების ბოლოს გამოიყენეს საერთაშორისო ვაჭრობის შესასწავლად. რამდენიმე წლის შემდეგ, ანალიზის იმავე ინსტრუმენტებს დაეყრდნენ სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის შესწავლის პროცესში.

ავინამ დიქსიტის და ჯოზეფ შტიგლიცის მოდელი ეკონომიკურ გეოგრაფიაში პირველად პოლ კრუგმანმა გამოიყენა. ეს მეცნიერი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკის უბადლო მცოდნეა, წერდა, რომ იგი ყოველთვის ფიქრობდა ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემებზე, მაგრამ ვერ აცნობიერებდა მას (Krugman:1995). სწორედ, ამ მეცნიერის ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა აზროვნებამ განაპირობა ის დიდი აღიარება, რომელიც დაიმსახურა მისმა ნაშრომმა „საერთაშორისო ვაჭრობის თეორია“. ამ ნაშრომში მოცემულია ვაჭრობის სტრუქტურა და ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიული გადანაწილების ანალიზი. აქვეა ახსნილი გლობალიზაციის, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისა და ურბანიზაციის შედეგები.

ადრე მიჩნეული იყო, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად სახეს ისეთ ქვეყნებს შორის ვაჭრობა წარმოადგენდა, რომლებიც განვითარების განსხვავებულ დონეზე იმყოფებოდნენ. კლასიკურ შემთხვევებში განიხილებოდა სავაჭრო ურთიერთობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტზე, ძირითადად, აგროკულტურული საქონელი გადიოდა, სანაცვლოდ განვითარებული ქვეყნიდან ინდუსტრიულ საქონელს იღებდნენ. XX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა საერთაშორისო ვაჭრობის ახალი ტიპები. კერძოდ, ვაჭრობა ორ განვითარებულ ქვეყანას შორის, როცა ექპორტიც და იმპორტიც ერთი და იმავე საქონლით ხორციელდება.

ამ აღმოჩენის ლოგიკური შედეგი გახდა პოლ კრუგმანის კვლევები ეკონომიკურ გეოგრაფიაში. მან შეიძლება ითქვას, ის როგორც მეცნიერება ახლებურად წარმოაჩინა. აჩვენა მწარმოებლის მისწრაფება იქითკენ, რომ შეამციროს საწარმოო და სატ-

რანსპორტო ხარჯები, მოახდინოს წარმოების კონცენტრაცია იმ რეგიონებთან ახლოს, სადაც მაქსიმალურად დიდი ბაზარია.

საერთაშორისო ვაჭრობაში ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული ქვეყანა შეეცდება იმ სამრეწველო საქონლის ექსპორტის გაზრდას, რომლისთვისაც საკმაოდ დიდია საკუთარი შიდა ბაზარი. ამასთან, მისი საერთაშორისო სპეციალიზაციის განმსაზღვრელი იქნება არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი უპირატესობა გარკვეული სახეობის საქონლის წარმოებაზე, ანუ ის თუ მოცემული ქვეყნისათვის მოცემულ ეტაპზე რამდენად მომგებიანია, აწარმოოს მოცემული საქონელი და არა სხვა რამ. შედარებითი უპირატესობა განისაზღვრება კლიმატით, რესურსებისა და მომწოდებლების სიახლოვით, ტექნოლოგიების განვითარებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დროებით ფაქტორს, მაგრამ ყველა დროში ის აძლევს ქვეყანას შედარებით უპირატესობას.

ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის საბოლოოდ გაფორმება მოხდა მაშინ, როცა გამოვიდა მაცახისი ფუძიტას და პოლ კრუგმანის საინტერესო ნაშრომი „ახალი ეკონომიკური გეოგრაფია“. ამ ნაშრომში ავტორები ეკონომიკური გეოგრაფიის (როგორც რეგიონული მეცნიერების) წარსულს, აწმყოსა და მისი მომავალის საინტერესო ანალიზს იძლევიან (Fujita, Krugman:2004).

*ეკონომიკური გეოგრაფია პოსტსაბჭოთა სივრცეში.* თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გეოგრაფია წარმოდგენილია, როგორც ზოგადკულტურული ციკლის სასწავლო დისციპლინა. მისი, როგორც გეოგრაფიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება კი ხდება, ძირითადად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, კანადა, იაპონია, ჰოლანდია, ავსტრალია და ა.შ). წარმოადგენს რა გეოგრაფიული მეცნიერების შემადგენელ ნაწილს, ეკონომიკური გეოგრაფია თავის თავში აერთიანებს საბუნებისმეტყველო, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური ინფორმაციის სინთეზს.

ტრადიციული განმარტებით, მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგია, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური საქმიანობის განაწილებას და მის სივრცობრივ ორგანიზაციას. ერთი გაგებით, იგი შეისწავლის საზოგადოებრივ პროცესთა გეოგრაფიულ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ხოლო მეორე, უფრო თანამედროვე გაგებით, ეკონომიკური გეოგრაფია მხოლოდ ეკონომიკის დარგების გეოგრაფიაა და შეისწავლის წარმოების განლაგების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს.

როგორც განმარტებიდან ჩანს, ის საკმაოდ ფართო დისციპლინაა და მისი შესწავლისას ეკონომ-გეოგრაფები განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ. სწორედ გასხვავებული მეთოდოლოგიის ერთ-ერთ თანამედროვე ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ჩემი შემოთავაზებული „გეოეკონომიკური“ ვერსია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური გეოგრაფია ღრმა კრიზისმა მოიცვა. ანალოგიური ბედი ეწია სივრცობრივ ეკონომიკასაც, რომელმაც, ასევე, მემკვიდრეობით მიიღო მწარმოებელი ძალების განლაგების საკითხების შესწავლა ავტარქიის (სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განცალკევება მიმართული ჩაკეტილი ეროვნული ეკონომიკის შექმნისაკენ. ეკონომიკური ავტარქია – ეკონომიკის დამოუკიდებელი განვითარება, რომელიც ახდენს შრომის საერთაშორისო დანაწილების და საერთაშორისო ვაჭრობის იგნორირებას) პირობებში.

ავტარქიული ეკონომიკა ამჟამადაც აგრძელებს ფუნქციონირებას იმ მეცნიერთა შრომებში, რომლებიც ქმნიან „კაპიტალისტური“ განვითარების ისეთ სივრცობრივ პროექტებს, სადაც სრულიად იგნორირებულია მსოფლიო ბაზრის ფენომენი.

როგორც ჩანს, მხოლოდ წარმოების განლაგების თავისებურებების და კანონზომიერებების შესწავლა დღეს საკმარისი არაა იმისათვის, რომ ეკონომიკურმა გეოგრაფიამ შეინარჩუნოს ის იმიჯი, რომელიც მას მუდმივად ჰქონდა საზოგადოებრივი მეცნიერების სივრცეში. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცეს-

მა გამოიწვია მსოფლიოს ეკონომიკური სივრცის თვისობრივი ცვლილება, რაც გამოიხატა იმით, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უმნიშვნელოვანეს რესურსად აქცია ფინანსები და ინტელექტი, ვიდრე გეოგრაფიული სივრცე ფიქსირებული წარმოებით. ეს პროცესი პლანეტას ერთიან ეკონომიკურ (არა მარტო) ორგანიზმად აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას. აღნიშნული, ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგია, იგი წარმოადგენს *მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიკების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ყალიბდება ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლის, სახელმწიფოს ეკონომიკური ბერკეტების შესუსტების, გლობალური კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტის განვითარების, მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების, საბაზრო ურთიერთობებისა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნის შედეგად.*

პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენება მოასწავებს ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის დასაწყისს. ამ „გეოგრაფიის“ ჩარჩოებში კავშირი სახელმწიფოსა და სიმდიდრეს შორის იღებს სხვადასხვა ფორმას და აყალიბებს ახალ კომბინაციებს. ირღვევა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ტრადიციულად არსებობდა სიმდიდრესა და ტერიტორიას შორის. კერძოდ, ხდება სიმდიდრის დემატერიალიზაცია და დენაციონალიზაცია. ეკონომიკური სუვერენიტეტი უკვე აღარ შედის მხოლოდ სახელმწიფოს „დაქვემდებარებაში“. ხდება მისი განაწილება (დარგობრივი პრინციპით) რეგიონულ, ზესახელმწიფოებრივ ან/და გლობალურ დონეზე. ამ ახალ მოცემულობაში ეკონომიკური გეოგრაფიის დეფინიცია სერიოზულ გადახედვას მოითხოვს.

*ეკონომიკური გეოგრაფიის დეფინიცია.* ცნობილია, რომ კვლევის საგანი განისაზღვრება მოცემულ მომენტში გაბატონებული კვლევის პარადიგმით. თუ ადრე ეკონომიკურ გეოგრაფიას განსაზღვრავდნენ, როგორც „ეკონომიკური რაიონების და საზოგადოებრივი წარმოების განლაგების“, „ტერიტორიული სოციალურ-

ეკონომიკური სისტემების“ ან „საზოგადოების ცხოვრების ტერიტორიული ორგანიზაციის“ შემსწავლელ მეცნიერებად, ახალი მოცემულობის შესაბამისად იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც: *„გეოგრაფიული მეცნიერების მიმართულება, რომელიც საზოგადოებისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთქმედების კონტექსტში შეისწავლის მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემის სუბიექტების ქცევის სივრცით-დროით ასპექტებს გეოგრაფიული სივრცის იმ ნაწილში (ეკოსფერო), სადაც მოქმედებენ აღნიშნული სუბიექტები.“*

ეკონომიკური გეოგრაფიის, ჩემ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას ახასიათებს რამდენიმე პოზიტიური მომენტი. კერძოდ, იგი საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, ეკონომიკური გეოგრაფია და სივრცობრივი ეკონომიკა (ეს უკანასკნელი სწავლობს ეკონომიკურ პროცესებს აბსტრაქტულ ეკონომიკურ სივრცეში). მეორე მხრივ, განმარტებაში გამოკვეთილია გეოეკონომიკის ის სეგმენტი, სადაც ოპერირებს კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ის ნაწილი, რომელშიც ხდება მსოფლიოს ახალი, სხვადასხვა ძალის ეკონომიკური სუბიექტებისა და სისტემების ფორმირება-განვითარება დროის გარკვეულ პერიოდში. ეს კი, დეფინიციას მეტ კონკრეტულობას და „გეოგრაფიულობას“ ანიჭებს.

ამასთან, გეოეკონომიკური სივრცე ასახავს განახლებულ ხედვას იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეზე, რომელიც აქტუალურია XXI საუკუნეში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელევანტურად მივიჩნევ, რომ თანამედროვე ეკონომიკური გეოგრაფიის შესწავლის არეალი უნდა გაფართოვდეს და, ტრადიციულ აქტორებთან ერთად, მისი ყურადღების ქვეშ მოექცეს *მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემის შემადგენელი სხვადასხვა დონის და ძალის ეკონომიკური და პოლიტიკური სუბიექტების ქცევის ტრანსფორმაციის სივრცით-დროითი სანაწილების კომპლექსური შესწავლა.*

ამდენად, მსოფლიოს პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია ახალ პრობლემებს უყენებს საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურ-

რებს. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა კი წარმოუდგენელია თანამედროვე ეკონომიკურ-გეოგრაფიული აზროვნების გარეშე. ამ უკანასკნელის მოყვანა თანამედროვე მოცემულობის შესაბამისად, ნაკარნახევია როგორც საზოგადოების, ასევე საკუთრივ ეკონომიკური გეოგრაფიის შემდგომი განვითარებით. ეს უკანასკნელი, მიისწრაფვის იქითკენ, რომ იყოს მოთხოვნადი იმ პირობებში, როცა გლობალიზაციის გავლენით ღრმა ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

იმისათვის, რომ ეკონომიკური გეოგრაფია კვლავ მოთხოვნადი გახდეს, აუცილებელია მისი კვლევის არეალის გაფართოება იმ ახალი რეალობების გათვალისწინებით, რომლებშიც ყალიბდება თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემა.

### **გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:**

1. ზურაბ დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., 2003.
2. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. თბ., 2008.
3. Dixit Avinash K., Stiglitz Joseph E. Monopolistic Competition and Optimum Product Diversity // The American Economic Review. – 1977, vol. 67. - № 3.
4. Fujita M., Krugman P. The New Economic Geography: Past, Present and the Future Papers in Regional Science. - Wiley-Blackwell, 2004, vol. 83, p. 139-164. – DOI:10.1007/s10110-003-0180-0.
5. Krugman P. R. Introduction // Development, Geography, and Economic Theory Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1995, p.127. ISBN 0-262-11203-5.
6. Kvinikadze G., Pkhakadze K., The Subject of Geoeconomics – Polemics around a New Discipline. “Ekonomika”. Monthly International reviewed and refereed scientific journal 2012, № 5-6.
7. Paul Krugman (editor). Geography and Trade, Mit, Cambridge

University Press, Cambridge (Mass.), 1991, p. 83-90; Joseph S. Nye. Soft Power. – Foreign Policy, Fall 1990, p. 153-175.

8. Peter F. Drucker. Trade Lessons from the World Economy. – Foreign Affairs, jan./feb. 1994, p.99-108, p.107-108.

### **The World's Geoeconomic Transformation and Economic Geography**

*“I had been always thinking about the problems of Economic Geography, but I did not acknowledge them.”*

*Paul Krugman (Nobel Prize Laureate)*

### **Resume**

The efficiency of politicians' influence on real economic relations is too low despite the fact that the final decision is made by them. Geoeconomics became focused on studying the process of economization of geopolitics in the world (among them on spatial aspects), where the powerful subjects of world economy are trying to establish control over the territories they are interested in, by means of using geoeconomic (less frequently geopolitical) levers (Kvinikadze, Pkhakadze, 2012:151).

The transnational powers, which are characterized by the effect of deterritorialization, are activated during this process. They form a more or less unified global economic space. Social scientists of space studies should take their orientation towards researching the connection between this space and the old one. Firstly, it should be done by economic geography, whereas this “new space is in connection with the old one” (Davitashvili, 2003:199).

Economic geography is quite a wide discipline. Economic geographers use a different methodology when studying the discipline of economic geography, so its “geoeconomic” version can be considered as one of the the modern variants of the the above-mentioned different methodology.

The world's geoeconomic reality changes the idea of basic concepts (“national economy”, “state borders”, “geographic location”, etc.) of economic geography and devaluates them. Political boundaries of world states do no longer coincide with their economic borders. Due to this fact, the type of economic boundaries which is being formed makes it difficult to ascertain the spatial-temporal parameters of a country's border. At the same time, the qualitative change of the space was expressed in the development of informative technologies, which turned economy, finances and intellect into the essential resources, due to which the geographic space with its fixed production became less important.

According to the new context, economic geography can be defined as follows: “The field of geographic science, in the context of interaction between society and the geographical environment, studies the spatial-interim aspects of the subjects' actions of World Geoeconomic System in that part of geographic space (ecosphere) where the mentioned subjects are acting”.

## ერი-სახელმწიფო – მსოფლიოს გეოეკონომიკური არქიტექტურის ძირითადი გამოწვევა\*

საბჭოთა ბლოკის კრახმა და მისმა თანმდევემა მოვლენებმა, განაპირობა კაპიტალიზმის ტრიუმფი და საფუძველი დაუდო შეხედულებას, ლიბერალური ეკონომიკისა და დემოკრატიის უალტერნატივობის შესახებ. სწორედ, ამ მოცემულობაში ჩამოყალიბდა გეოეკონომიკა. ეს ტერმინი აღნიშნავს როგორც მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესს, ასევე ამ პროცესების შემსწავლელ მეცნიერებას.

ამ ცნებაში ორ მნიშვნელოვან მიმართულებას მოვიაზრებთ. პირველის თანახმად, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა ერთი მედლის ორი მხარეა. თანამედროვე გეოპოლიტიკა შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ გეოეკონომიკასთან კავშირში და პირიქით. გეოპოლიტიკა ქმნის გეოეკონომიკას და გეოეკონომიკა ქმნის გეოპოლიტიკას. მეორე მიმართულების თანახმად კი, განურჩეველია გეოეკონომიკისათვის ის, რაც არის ტრანსნაციონალური (ე.ი. ქვეყნის გარეთ) და რაც წარმოადგენს ნაციონალურს (ქვეყნის შიგნით არსებულს). სწორედ, ეს მოცემულობა აჩენს მთავარ კითხვას. კერძოდ, რამდენადაა შენარჩუნებული ეროვნული და ტრანსნაციონალური მმართველობა თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში და ხომ არ ნიშნავს გლობალური გეოეკონომიკური მეტოქეობა ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის დასასრულს? ამ კითხვებზე სკეპტიკოსები პასუხობენ, რომ ამჟამად იზრდება კავშირები ეროვნულ ეკონომიკებს შორის და სახელმწიფო კვლავაც ეკონომიკური

---

\* პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტომი 1. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2013, გვ. 295-298.

ურთიერთობების მთავარი აქტორია (Cox:1996; Hirst, Tompson :1995), ხოლო გლობალისტების ხედვით, მსოფლიოს თანამედროვე გეოეკონომიკური არქიტექტურა არავითარ შემთხვევაში არ არის ეროვნულ ეკონომიკებს შორის კავშირების უბრალო ინტენსიფიკაცია, არამედ თვისობრივად ის სხვა მოვლენაა. ამ დროს ხდება ეროვნული ეკონომიკების გასვლა ეროვნული საზღვრებიდან და ყალიბდება გლობალური გეოეკონომიკური სივრცე, ერთიანი ბაზრითა და საფინანსო სისტემით (კვინიკაძე:2008)

დღეს ბევრი ანალიტიკოსი აღიარებს, რომ თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცე ზღუდავს სახელმწიფოს კომპეტენციას, თუმცა ამ მოვლენის მასშტაბები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა კენიჩი ომე (Ohmae:1990;1995), რომელიც სახელმწიფოს სისუსტის მთავარ ნიშნად ტრანსნაციონალური ბიზნესის სიძლიერეს მიიჩნევს. მაშინ ამ ლოგიკით სახელმწიფოს სიძლიერის შესატყვისი გამოდის ტრანსნაციონალური ბიზნესის და გლობალური ბაზრის სისუსტე. რამდენად კორექტულია საკითხის ამგვარად დასმა ეს ცალკე საინტერესო საკითხია. აღნიშნულის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ექსკლუზიური კავშირი ტერიტორიასა და პოლიტიკურ ძალას შორის გადანყდა. ახალი ტრანსნაციონალური ძალები შეკავშირდა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რითაც სუვერენიტეტი საზიარო ძალად იქცა.

ასეთი შეხედულება საკმაოდ რეალისტური ჩანდა, რამდენადაც საინტერესოდ ეხმაურებოდა ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოშობილ ნაციონალიზმს, როდესაც ეკონომიკურად მეტად განვითარებულ რეგიონში იზრდებოდა მოთხოვნა გამოყოფისა, რამდენადაც მათ არ სურდათ ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების „რჩენა“. თუმცა 2008 წლის და წინარე ეკონომიკურმა კრიზისმა (1997-1998წწ. აზიის ფინანსური კრიზისი), მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა როგორც კენიჩი ომეს მოსაზრებებში, ისე ეკონომიკურ ნიადაგზე განვითარებული გეოეკონომიკური სექსიონიზმის გააზრებაში (კვინიკაძე: 2008:258).

ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის რღვევის შემდეგ გამოიკვეთა რამოდენიმე აშკარა ტენდენცია. პირველ რიგში, ეს არის გამარჯვებული გეოეკონომიკური პოლუსის ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი დომინანტობა მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში; პარალელურად გამოიკვეთა ეკონომიკური რეგიონალიზმის ტენდენციები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, განსაკუთრებით, ევროპის კონტინენტზე; მესამე და უმნიშვნელოვანესი ტენდენცია კი, ეკონომიკური გლობალიზაციის მზარდი მაჩვენებელია.

რეგიონალიზაცია და სწრაფად მზარდი ეკონომიკური გლობალიზაცია განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე აყენებს ერი-სახელმწიფოს ტრადიციულ მოდელს, რამდენადაც სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის არსს მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება. სხვადასხვა ტიპის საქონელი, კაპიტალი, ადამიანები და ა.შ. პერმანენტულად, პროგრესირებადი დინამიკით კვეთს სახელმწიფოს საზღვრებს. როდესაც საუბარია საზღვრების მნიშვნელობის გაუფასურებაზე, ხაზს უსვამენ დენაციონალიზაციის მზარდ ფენომენს. კერძო აქტორები, კომპანიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფოსთან შედარებით, მეტად გავლენიანები გახდნენ. ფაქტია, რომ რეალობის მსგავსი განვითარება პოლიტიკის ლეგიტიმიზაციისთვის, სახელმწიფოთა მიღმა ახალ საჭიროებას წარმოშობს. სწორედ, მსგავსმა ტენდენციებმა გააჩინა მეტად საინტერესო კითხვები ერი-სახელმწიფოს ბედზე ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. კერძოდ, რა ბედი ელის ზოგადად სახელმწიფოს სუვერენიტეტს და თანაბრად მოხდება თუ არა ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნიველირება?

მაშინ, როდესაც გლობალიზაციის გავლენით რიგი სახელმწიფოები მართლაც თმობენ სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილს (განსაკუთრებით, ეკონომიკის სექტორებში), სახელმწიფოთა მეორე, შედარებით მცირე ნაწილი რენაციონალიზაციას განიცდის, ანუ სახელმწიფო თავისი ტრადიციული ძალითა და გავ-

ლენით ისევ აქტუალურ ფენომენად რჩება. ამ ტიპის სახელმწიფო-ებში კი, იგულისხმება არა მარტო ნაკლებად დემოკრატიული ან ავტორიტარული სახელმწიფოები არამედ ისინიც, რომლებიც დომინანტ ძალას წარმოადგენენ თავისი პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური პოტენციალით და გავლენით.

ეკონომიკის გლობალიზაციის პარალელურად, რენაციონალიზაციის გამოვლინება მეტად საინტერესო ფენომენია, რამდენადაც გლობალიზაცია თავისთავად გამორიცხავს ნაციონალიზმს, ხოლო აშკარად მზარდი გლობალიზაციის პირობებში, რენაციონალიზაციის თუნდაც ერთი პრეცედენტი უამრავ კითხვას ბადებს.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები სათავეს 1648 წელს ვესტფალიის ზავიდან იღებს. ამ პერიოდიდან სახელმწიფო სუვერენიტეტი სამართლებრივ პრინციპად იქცა, მაგრამ ვესტფალიის ზავით აღიარებული სუვერენიტეტი არ გულისხმობდა სახელმწიფოს სუვერენიტეტს დღევანდელი გაგებით, არამედ ის მოიცავდა მონარქის სუვერენულობას თავის სამფლობელოში. მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ მოხდა სუვერენიტეტის იდეის გაფართოება და მან მონარქიიდან ერზე გადაინაცვლა. ერი გამოცხადდა სახელმწიფოს ლეგიტიმურობის ერთადერთ წყაროდ, მაგრამ სუვერენიტეტის ეს ფორმა მიმართული იყო სახელმწიფოს შიდა მოწყობაზე და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ლეგიტიმურობის მთავარი მახასიათებელი.

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გაჩნდნენ საერთაშორისო სისტემის სხვა, მეტად გავლენიანი აქტორებიც, რომელთა გავლენის ზრდის პარალელურად, სახელმწიფოს უმცირდება თავისი კომპენტენციის სფეროები და ძალაუფლების ერთადერთი მონოპოლისტი აღარაა, თუნდაც თავისი ტერიტორიის ფარგლებში.

დღეისათვის სუვერენიტეტის ორი გაგება არსებობს – ტერიტორიული და სამართლებრივი, მაგრამ როგორც ხშირად ირწმუნებიან თანამედროვე მზარდი გლობალიზაციის პირობებში, სუვერე-

ნიტეტის ეს ორივე ფორმა თანდათან უფასურდება, რამდენადაც გლობალიზაცია თავისი არსით ძირს უთხრის თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტს. ეს შეხედულება საკმაოდ პოპულარულია, რადგან მარტივი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, გლობალიზაცია გულისხმობს უნივერსალიზაციას, უნიფიკაციასა და ჰომოგენიზაციას, რაც გარდაუვალს ხდის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციას, ფრაგმენტაციას და რეგიონალიზაციას. თუ ეკონომიკური გლობალიზაციის არსს ღრმად გავანალიზებთ აშკარა გახდება, რომ გლობალიზაცია არა თუ გამოორიცხავს და ენინააღმდეგება ტერიტორიული სახელმწიფოს არსებობას, არამედ მასთან თანაარსებობა განაპირობებს მის განვითარებას.

ეკონომიკური გლობალიზაციის არსის გასარკვევად, აუცილებელია მისი ძირითადი მახასიათებლების გაანალიზება. პირველი და უმთავრესი, ეს არის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში არსებული ინსტიტუტები და პროცესები, რომლის შედეგადაც მატერიალიზდება გლობალიზაცია. მეორე, სამართლებრივი რეჟიმების მზარდი გავლენა, რომელიც აკონტროლებს ტრანსსასაზღვრო ეკონომიკურ ტრანსაქციებს. მესამე, მზარდი ეკონომიკური აქტივობა ელექტრონულ სივრცეში რაც, ერთი შეხედვით, თითქოს უკონტროლოა, რამდენადაც ხდება ფინანსების ვირტუალიზაცია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი აუცილებელი ხდება კრიზისების თავიდან ასაცილებლად. სამივე ამ მახასიათებლიდან აშკარაა, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო სუვერენიტეტი კი არ ქრება, არამედ იძენს ახალ განზომილებას და დუალისტურ ცნებად ტრანსფორმირდება, ანუ სუვერენიტეტი XXI საუკუნის დასაწყისისათვის გადადის ევოლუციის ახალ საფეხურზე – მას გლობალურ-ეროვნული ხასიათი ეძლევა. სახელმწიფო უკვე ხდება ორიენტირებული გეოკონომიკურ სივრცეში ადაპტირებაზე, რისთვისაც აუცილებელია ის იყოს გლობალური კაპიტალის უსაფრთხოების გარანტი, განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შემქმნელი და სამართლებრივი მარეგულირებელი.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

სწორედ ეს ახალი გამოწვევები წარმოადგენს დენაციონალიზაციის მთავარ საფუძველს, მაგრამ დენაციონალიზაცია სულაც არ გულისხმობს სახელმწიფოს ფენომენის გაქრობას, პირიქით, ხდება მისი ტრანსფორმაცია და უფრო ეფექტური ადაპტირება ახალ გეოეკონომიკურ რეალობასთან.

ამდენად, თუ მოკლედ შევაჯამებთ ზემოთ აღნიშნულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი მსოფლიო გეოეკონომიკური არქიტექტურა ყალიბდება შემდეგი მოცემულობებით:

ა) მზარდი გლობალური ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და კრიზისების პირობებში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დაცული იქნას ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესები, რადგანაც მათი შემოსავლები აისახება იმ სახელმწიფოს მთლიან შიდა პროდუქტში, სადაც ისინი არიან რეგისტრირებულნი (ამის საილუსტრაციოდ გამოდგება 1994 წლის მექსიკის კრიზისი, როდესაც შეერთებულმა შტატებმა მისი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად დაასახელა ამ კრიზისის აღმოფხვრა და მექსიკაში მოქმედი ტრანსნაციონალური კორპორაციების დაცვა).

ბ) დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფოებისათვის კონკურენციის განევა მეტად რთულია. რიგით სახელმწიფოებს რჩებათ ერთადერთი არჩევანი რეგიონალიზაციის სახით, რაც ზრდის შანსს კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის (რეგიონალიზაციის მაგალითია ევროკავშირი, რომელმაც გააერთიანა რა კონტინენტურ ფარგლებში ეკონომიკური სივრცე, უფრო „წონიან“ აქტორად წარმოაჩინა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში).

გ) დისკურსის ლოგიკის შესაბამისად გამოდის, რომ ოპტიმიზმი ახალი გეოეკონომიკური სივრცის მომავალთან დაკავშირებით გაიგივებულია სახელმწიფოს მომავლის პესიმისტურ შეხედულებასთან.

დ) მსოფლიო გეოეკონომიკურ არქიტექტურაში ხდება სახელმწიფოს თანაარსებობა ტრანსფორმირებული სტატუსით, სადაც რიგითი სახელმწიფოების მხრიდან ძირითადი აქცენტი კეთდება დასავლეთზე, რამდენადაც გლობალური კაპიტალის უდიდესი შემადგენელი სწორედ დასავლური კაპიტალია.

**გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:**

1. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბ., 2008.
2. Cox R.W. Global Perestroika /Approaches to world Order/ Cox R.W., Sinclair T. J. (eds). Cambridge,1996. p. 302; Hirst P. Tompson G. Globalization and the Future of the Nation State // Economy and Society L., 1995, vol. 24, №3, p.44.
3. Ohmae K. The Borderless World: Power and Strategy in the Inter-linked Economy. N.Y., 1990; Iden. The End of the nation state: The Rise of Regional Economies. L., 1995.

**Nation State – the Basic Challenge  
of World Geoeconomic Architecture**

**Resume**

The issue of formation of the current geoeconomic order in post-bipolar world is discussed in this article. It has become actual among academics. The future of a nation-state occupies a central place against the background of rapidly increasing process of economic globalization. We believe that this process should not be estimated unequivocally, because particular states suffer from the process of re-nationalization caused by globalization. This means that the state institute with its traditional power and influence still remains the actual phenomenon. This type of states includes not only democratic and authoritarian ones, but also those states which are dominant in global geoeconomic space.

The evolution of the idea of a “state” and of the concept of sovereignty is discussed in the given context and the basic determinants of geoeconomic architecture are ascertained. The conclusions are made at the end of the work, where it is underlined that the interests of transnational subjects must be protected under the conditions of economic rivalry and crises. On the other hand, due to the fact that it is difficult to compete with the countries having a powerful economic potential, the developing states have only one choice of economic regionalization.

## გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრიულობის გეოეკონომიკური მოდელები\*

თანამედროვე პოლიტიკონომიკურ, საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ და გეოეკონომიკურ კვლევებში აქცენტი კეთდება სივრცისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირზე. თანამედროვე გეოეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია სივრცის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების ურთიერთკავშირის შესწავლა. ამ მხრივ, თანამედროვე გეოეკონომიკურ კვლევებში აშკარად შეიმჩნევა 4 ძირითად გეოეკონომიკურ მოდელზე ფოკუსირება. ეს მოდელებია:

- ლიბერალურ-გეოეკონომიკური მოდელი;
- კონსერვატიულ-რადიკალური მოდელი;
- „შერეულ“-ემპირიული მოდელი;
- „გლობალური კარების“ მოდელი.

ის ლიბერალური და კონსერვატიულ-რადიკალური მოდელები, რომლითაც ხდება თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სტრუქტურის აღწერა, გარკვეულწილად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამასთან, ეს ორივე მოდელი ატარებს მძლავრ ნორმატიულ-იდეოლოგიურ მუხტს.

ლიბერალების აზრით, ეკონომიკური აქტივობა უკავშირდება მსოფლიოს სივრცობრივი სტრუქტურის ერთგვაროვნებისკენ სწრაფვას.

კონსერვატიულ-რადიკალური მოდელის მიხედვით კი, მსოფლიო ეკონომიკა შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური სივრცის

---

\* პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტომი I. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2013, გვ. 162-167.

არაერთგვაროვნების, ანუ ერთის მეორეზე გავლენის გარეშე.

„შერეული“ მოდელი ატარებს ემპირიულ ხასიათს. იგი აერთიანებს როგორც ეკონომიკური ერთგვაროვნების, ასევე არაერთგვაროვნების იდეებს. ამასთან, სხვადასხვა ტიპის აქტორთა სტრუქტურაშემქმნელი საქმიანობა განსაზღვრავს ჰომოგენიზაციის და იერარქიზაციის ურთიერთსაინააღმდეგო ტენდენციების თანაფარდობას. ამ მოდელში უკვე აღარაა საუბარი თანაბარ სარგებლიანობაზე ან ექსპლუატაციაზე, რომელიც მეტაფიზიკურია შრომის გლობალური დანაწილების ბუნებაში. ვფიქრობთ, თვით ისტორია ქმნის ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობით.

ინგლისელი პოლიტიკონომიკის კლასიკოსის, ადამ სმითის თეორიის მიხედვით, ქვეყნებს შორის გაცვლები ურთიერთსასარგებლო ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან მას მიყვარათ შრომის განაწილების ეფექტურობამდე და შედარებითი უპირატესობის გამოყენებამდე. თუმცა მან თავის კვლევებში საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება პრობლემის ტერიტორიულ (გეოგრაფიულ, გეოეკონომიკურ) ასპექტზე. მთლიანობაში, ადამ სმითისთვის სოციალურ-ეკონომიკური სივრცე ერთგვაროვანია. არაერთგვაროვანება არსებობს მხოლოდ ბუნებრივი ხასიათის შედარებითი უპირატესობის განაწილებაში.

ემპირიულად შემჩნეული ყველა მხრის უთანაბრობას ლიბერალი ეკონომისტები ჩვეულებრივ ხსნიდნენ მოდერნიზაციის უთანაბრობით. ამასთან, ფაქტია, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელს უწყობს ღარიბი ქვეყნების განვითარებას, რითაც პოლიტიკური სტრუქტურების სივრცობრივი არაერთგვაროვნება „დროებითი“ ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ზოგიერთმა ტერიტორიამ „გაასწრო“ დროს, ხოლო „ჩამორჩენილი“ ტერიტორიები, მონივნავე ტერიტორიებთან ინტენსიური ურთიერთკავშირის ხარჯზე, ცდილობენ შეამცირონ ეს ჩამორჩენა.

მსოფლიო, როგორც არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, გამოვლენილია „გლობალური სოფლის“ მოდელში (Mc. Luhan:1989), რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის პროცესის გან-

ვითარების კვალობაზე ხდება მსოფლიოს სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია და ჰომოგენიზაცია. ზოგიერთი მეცნიერი და პუბლიცისტი ემხრობა მსოფლიო ეკონომიკაზე მონეტარულ შეხედულებებს (მაგ., მილტონ ფრიდმანი). ისინი ვარაუდობენ, რომ სწორედ გლობალური ეკონომიკაა ის ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთკავშირების ისეთ მეტ-ნაკლებად თანაბარ განაწილებას, რომელიც გლობალური ეკონომიკის ყველა აქტორისათვის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებსა და სტაბილურ განვითარებას (იდეალურ ვარიანტში – გ.კ.).

კონსერვატიულ-რადიკალური მოდელი გულისხმობს, კლასიკური ინგლისური პოლიტეკონომიის რადიკალურად საპირისპიროს. ამ მოდელში კონტინენტური ევროპის როგორც კონსერვატორული, ასევე რადიკალურ-სოციალისტური მიმართულებების მოაზროვნეები ხაზს უსვამენ სივრცის სოციალურ-ეკონომიკური ერთგვაროვნების აუცილებლობას. ამასთან, საუბარია მათ შორის შრომის არა უბრალო დანაწილებაზე, არამედ მსოფლიოს ერთი ტერიტორიის მიერ მეორე ტერიტორიის გეოეკონომიკურ კონტროლზე.

გერმანულ ეკონომიკურ სკოლაში ეკონომიკური სივრცის ხარისხობრივი არაერთგვაროვნების პრობლემის კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობს. კერძოდ, ქალაქების გარშემო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური იერარქიის პრობლემა დააყენა ჰენრიხ ფონ თიუნენმა თავის ნაშრომში „იზოლირებული სახელმწიფო“. მსგავს იდეებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ სისტემაზე დაყრდნობით ავითარებდა ისტორიკოს-ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი. ინგლისური ფრიტრეიდერობის<sup>1</sup> საპირისპიროდ, იგი მიუთითებდა საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის აუცილებლობაზე, რათა განვითარებულიყო ქვეყნის საწარმოო ძალები. მისი აზრით, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის თავისუფალ ვაჭრობას მივყავართ ძლიერი ეკონომი-

---

<sup>1</sup> მიმართულება ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკაში, რომლის თანახმად აუცილებელია ვაჭრობის თავისუფლება და სახელმწიფოს ჩაურევლობა კერძო მენარმეთა საქმიანობაში.

ამდენად, რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციის აქტორები ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სხვა მონაწილეთა და, მთლიანად, ორგანიზაციის ინტერესებს და უარი თქვან ზოგიერთ საკუთარ სურვილზე. ამასთან, გლობალურ ეკონომიკურ ინსტიტუტებში არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა აქტორთა სახელითაც

გამოვიდნენ, ე. ი. ეროვნული ეკონომიკის პარალელურად (ზოგჯერ მის ხარჯზეც), საფუძველი ეყრება რეგიონულ ეკონომიკას. შემდეგ ეტაპზე ხდება ამ რეგიონების ეკონომიკური დაახლოება, რასაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ გლობალურ ეკონომიკამდე, სადაც გლობალური ეკონომიკური ინტერესები გადაფარავს როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს.

ეს პროცესი მოტივირებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში აშკარად გამოიკვეთა გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის კონტურები, რაც ნიშნავს რომ მსოფლიო განვითარებამ ფუნქციონირება დაიწყო გეოეკონომიკურ კოორდინატთა სისტემაში.

დღეს პოსტინდუსტრიული სახელმწიფოები, რეგიონული გაერთიანებები და თვით პატარა ქვეყნებიც კი, ამუშავებენ გეოეკონომიკურ პროექტებს, რომლებსაც უკავშირებენ მომავალ კეთილდღეობას და საკუთარი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესების დაცვას. ამ პროექტების რეალიზაციის პროცესში კი მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფოთა კომპეტენცია.

არსებობს მოსაზრება, რომ მომავალში სახელმწიფო შეიძლება დაემსგავსოს იმ მუნიციპალიტეტს, რომელსაც მხოლოდ ბიზნესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობის ფუნქცია ექნება. ამ მხრივ, განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევიან კენიჩი ომე და ჯონ ნესბიტი. ამ მეცნიერთა აზრით, სახელმწიფო გადაიქცევა „ნოსტალგიურ ფუნქციად“. ის შეიძლება ინარჩუნებდეს პოლიტიკურ დატვირთვას, მაგრამ სრულ დევალვაციას განიცდის ეკონომიკური თვალსაზრისით, დადგა დრო როცა უარი უნდა ვთქვათ, „კარტოგრაფიულ ილუზიებზე“ და შევეგუოთ ეკონომიკურ საზღვრების ჩამოშლის გარდაუვალ პროცესს.

კენიჩი ომე სახელმწიფოთა ალტერნატივად განიხილავს რეგიონ-სახელმწიფოებს და სახელმწიფოს დაკნინების მთავარ ფაქტორად ტრანსნაციონალური ბიზნესის სიძლიერეს ასახელებს. აქედან გამომდინარეობს საპირისპირო – კერძოდ, სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებს ტრანსნაციონალური ბიზნესის სისუსტე? ეს არცთუ კორექტული კითხვა ცალკე განხილვის საგანია. ამის მუხედავად, კენიჩი ომეს

და ჯონ ნესბიტის ეს მოსაზრებები სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს (Ohmae:1990; Ohmae:1995; Naisbitt:1990; Naisbitt:1994).

პრაქტიკულად საქმე გვაქვს მსოფლიოს ახალ ნესრიგთან, რომლის კვინტესენცია გეოეკონომიკაა და ეფუძნება მსოფლიო განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. უფრო მეტიც, ფრენსის ფუკუიამა თვლის, რომ სახელმწიფოები ადრე თუ გვიან იძულებული იქნებიან შეუერთდნენ პოსტინდუსტრიულ სტანდარტებს, რაც უნდა გახდეს ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების საფუძველი (Fukuyama:1989).

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო სისტემის მოძრაობა გლობალური ეკონომიკური ჰარმონიის მიღწევის გზაზე მეტად წინააღმდეგობრივია და სერიოზული სიძნელების თანხლებით მიმდინარეობს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება კლასიკური გეოპოლიტიკური პროექტების დაპირისპირებაში გეოეკონომიკურ პროექტებთან. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები შეეცადნენ ამ პრობლემის ახალი თეორიული საფუძვლების შექმნას (Wallensten:1993; Chomsky:1994; Waltz:1993; Huntington:1996; Cox:1996; Scholte:2000; Luttwak:1998 და ა.შ.).

ზემოთ აღნიშნულ კონტექსტში კვლევის ძალზედ საინტერესო ობიექტია სამხრეთ კავკასიის რეგიონი. ის, ფაქტობრივად, გადაქცეულია იმ გეოპოლიტიკური ბლოკებისა და მსოფლიო ეკონომიკური ცენტრების სტრატეგიული დაპირისპირების არენად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რეგიონზე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის მოპოვებით.

*კომერციის გრამატიკა და კონფლიქტების ლოგიკა კავკასიაში.* თანამედროვე კავკასია წარმოადგენს რეგიონს, სადაც რეალიზდება ის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონულ და რეგიონთაშორის კომუნიკაციურ, სათბობ-ენერგეტიკული არიალების ფორმირებასთან. მსოფლიო ახალი ნესრიგის დოქტრინის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება გეოეკონომიკური მიდგომები. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკების ინტეგრაციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

*რეგიონის საზღვრები. არსებობს ცნება „ცენტრალური კავკასია“ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლექსიკონში არც თუ დიდი ხანია არსებობს და ეს ტერმინი არც ისე პოპულარულია. ცენტრალური კავკასიის რეგიონი წარმოადგენს დასავლეთის შორიზონტალური გეოეკონომიკური და ევრაზიული ვერტიკალური გეოპოლიტიკური ლერძების გადაკვეთის ადგილს. ამ შემთხვევაში კი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამხრეთ კავკასიაზე (Gachechiladze:2002) და არა მთლიანად კავკასიის რეგიონზე, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი „ცენტრალურ კავკასიას“ უწოდებს (Зубахов:2000).*

გეოპოლიტიკური ანალიზის თვალსაზრისით, გასაზიარებელია პროფ. რევაზ გაჩეჩილაძის პოზიცია, რადგან მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ფლობენ იმ ბერკეტებს, რომლითაც შესაძლებელია წინ აღუდგნენ რეგიონში მოთამაშე მსხვილ გეოპოლიტიკურ აქტორებს. მეორე მხრივ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე სწორედ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების გარანტირებული შესაძლებლობა და ფლობენ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ექსკლუზიურ და ლეგიტიმურ მექანიზმებს.

სამხრეთ კავკასია გაცილებით ფართოა გეოეკონომიკის პოზიციებიდან და მოიცავს როგორც კავკასიის ჩრდილოეთს (რუსეთის ფედერაციის ტერიტორია), ასევე მის სამხრეთ ნაწილსაც (თურქეთისა და ირანის ჩრდილოეთი ტერიტორიები). რეგიონის ამ არეალში მოიაზრება, ასევე ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ევროკავშირი და აზიურ-წყნაროკეანური გეოეკონომიკური რეგიონი.

გეოპოლიტიკურად ის მოიცავს რუსეთს, თურქეთს, ირანს და, გარკვეული თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსაც. ამდენად, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სამხრეთი კავკასია გაცილებით ფართო ცნებაა და მისი გეოეკონომიკურ-გეოპოლიტიკური პარამეტრები ვერ დაემთხვევა მის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებს.

იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკური კავშირები ძლიერადაა დამოკიდებული პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაზე, ეკონომიკური საზღვრების გახსნა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გააქტიურება, გლობალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, იმის პირობებს ქმნის, რომ რეგიონის ეკონომიკა ერთიანობაში დაბალი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება.

იმის მიუხედავად, რომ რეგიონის ქვეყნებმა შეძლეს ინფლაციის ტემპების შემცირება და ეროვნული ვალუტის მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია დასავლეთის დახმარებითა და ფინანსურ-სავალუტო პოლიტიკის გამკაცრებით, მთლიანობაში რეგიონის სამივე ქვეყანა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ კონფლიქტებით, რომელიც ინსპირირებული იყო მეზობელი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესებით. მეორე მხრივ კი, იმ დისპროპორციებით რომლითაც ხასიათდება არა მარტო რეგიონის სახელმწიფოები, არამედ მათი შიდა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

საერთოდ, შეიარაღებული კონფლიქტების ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. არ წარმოადგენენ რა „ომის ეკონომიკებს“ კლასიკური გაგებით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკები მინიმუმ კონფლიქტის მხარეების ეკონომიკის სტატუსს ატარებენ და, იმავდროულად, ძლიერი გეოეკონომიკური ოპონირების რეჟიმში ფუნქციონირებენ. ასეთი ვითარება კი ხელს უწყობს ე.წ. „რუხი ეკონომიკური ზონების“ აღმოცენებას (დღეს აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი ასეთ ზონებად განიხილებიან). მათთვის დამახასიათებელია ჩრდილოვანი და კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობაში ვლინდება და, თავის მხრივ, ზრდის ინვესტირების რისკს, ხელს უწყობს კონტრაბანდას და კორუფციას. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო კონტრაბანდა. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ, სადაც რუსეთიდან შემოდის კონტრაბანდული საქონელი, საქართველოს ბიუჯეტში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

საქართველომ უდიდესი ეკონომიკური დივიდენდები მიიღო აჭარაში სიტუაციის შეცვლითაც, რადგან თურქეთიდან კონტრაბანდის შემცირება მოხერხდა. შედეგად კი მოხდა პენსიების და ხელფასების ზრდა სახელმწიფო სექტორში.

ამასთან, ეკონომიკისა და კონფლიქტის ურთიერთზემოქმედების დინამიკა სულაც არაა ერთმნიშვნელოვანი პროცესი. ამ სიტუაციას კარგად იყენებს რუსეთი, რომელმაც იმავე ერგენტის ბაზრობის დახურვით, უკმაყოფილო ადამიანები დაუპირისპირა ერთმანეთს, მოახდინა რეგიონის მილიტარიზაცია და საქართველოს ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო ეკონომიკა, საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

პრაქტიკულად იმავე მეთოდებით ცდილობს რუსეთი თავისი ევროპული და აზიური გეოპოლიტიკური მიზნის რეალიზაციასაც.

სრულად ამკარაა, რომ „ნულოვანი თამაშის“ პრინციპის მოქმედების ინერცია, როცა, ერთის მოგება ავტომატურად ნიშნავს მეორის წაგებას, კვლავ აგრძელებს მოქმედებას სამხრეთ კავკასიაში. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში პოზიტიურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებს შეიძლება პოზიტიური შედეგები მოჰყვეს მის მეზობელ ქვეყნებში იმ შემთხვევაში, თუ ისინი საყოველთაოდ მიღებული ეკონომიკური თამაშის წესებს იცავენ.

თუ ეს თამაშის წესები დარღვეულია და მეორე მხარე თამაშობს სხვა წესებით, მაშინ პრინციპი „რაც უფრო კარგადაა მეზობელი, მით უფრო კარგად ვარ მე“, არ მუშაობს. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა გახდეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები ქართული ეკონომიკისა და ბიზნესისათვის მიმზიდველი ბაზარი, როცა ამ ტერიტორიების „ინტეგრაცია“ მეზობელი ქვეყნის ეკონომიკაში მოხდა არა გეოეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნებითა და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირებით. განა აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკე-

ბის ინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ სტრუქტურებში მეტი სიკეთის მომტანი არ იქნება, ვიდრე რუსეთის იზოლაციისაკენ სწრაფ ეკონომიკაში?

მეორე მხრივ, რეგიონში მოთამაშე გეოპოლიტიკური ძალები ეხმარებიან არაღიარებულ და ოკუპირებულ რეგიონებს ეკონომიკურად, რითაც ისინი თეორიულად შეიძლება მიმზიდველი გახდნენ. მსგავსი პერსპექტივა კი არ ემთხვევა სამხრეთ კავკასიის ორი მთავარი გეოეკონომიკური მოთამაშის (საქართველო, აზერბაიჯანი) ეკონომიკურ პრიორიტეტებს. საკითხისადმი ამ ორი ქვეყნის კონცეპტუალური მიდგომა ისაა, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება ოკუპირებული და არაღიარებული ტერიტორიების ეკონომიკური აღორძინებისაკენ, ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს (ტერიტორიულ მთლიანობის შენარჩუნებას). სხვა მხრივ, ასეთი დახმარების დაკანონება კიდევ ერთი სტიმული გახდება, რომ ისინი (ოკუპირებული ტერიტორიები) არ დარჩნენ საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში. სწორედ ამიტომ, მათი ეკონომიკური სტაგნაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი ვარიანტი.

ეროვნული დონის რეგიონულ აქტორებთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო ღია ხასიათს იძენს საკმაოდ სერიოზულ გეოეკონომიკურ მოთამაშეთა კონფლიქტი. ეს არის აშშ, რუსეთი, თურქეთი და ირანი. რეგიონის მდებარეობა ნავთობისა და გაზის სატრანზიტო დერეფანში მომავალში კიდევ უფრო გაამძაფრებს გეოეკონომიკურ დაპირისპირებას. მაგალითად, იგივე რუსეთი დიდი ხანია აწარმოებს გეოეკონომიკურ ომს საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის მთავარი მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლის აღდგენა. როგორც ჩანს, „რუსეთმა მიზნად დაისახა არა მხოლოდ დაიქვემდებაროს ამ რესურსების ექსპლოატაცია საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, არამედ მაქსიმალურად შეეცადოს, არ დაუშ-

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ვას სამხრეთ კავკასიის ორი „ურჩი“ სახელმწიფო მსოფლიო შემოსავლებისა და განაწილების პროცესში“ (კვინიკაძე: 2010:7).

რუსეთის სამხედრო მანქანა უშუალოდ არის დაკავშირებული ამ მიზნის შესრულებასთან. მაგალითად, 2008 წლის 1 ივნისს რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გუდაუთის რაიონში ნავთობის საძიებო სამუშაოების დაწყების შესახებ (რაც, თავისთავად, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს), ხოლო ეს უკანონო ქმედება რუსეთმა „დაიკანონა“ იმით, რომ მან მოახდინა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯერ ოკუპაცია და, შემდგომ, მათი აღიარება (მიმდინარე წლის თებერვალში რუსეთმა უკვე დაიწყო ნავთობის მოპოვების სამუშაოები).

გეოეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად გამართლებულად მიმაჩნია დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური დახმარებების პრაგმატული დიფერენციაცია რეგიონის ქვეყნებისა და მათი შიდა ტერიტორიების მიმართ. ეს დახმარება რეალიზდება პრინციპით: „სანავთობო-აღიარებული“, „სატრანზიტო-აღიარებული“, „არაღიარებული“ და „ოკუპირებული“, რასაც ადასტურებს რეგიონში განხორციელებული დასავლური ინვესტიციების სტრუქტურაც. თუმცა, დასავლეთის გეოეკონომიკურ პროექტებს წინ ეღობება მძლავრი გეოეპოლიტიკური პროექტები, რაც სამხრეთ კავკასიას ფეთქებადსაშიშ რეგიონად აქცევს.

თუ არ ჩავთვლით საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობას, რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაცია, კლასიკური გაგებით, ძალზედ დაბალი ტემპით ვითარდება. თუმცა, არსებობს ბიზნესი, რომლის ჩარჩოებშიც ყალიბდება გარკვეული ურთიერთობები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კონფლიქტებმა შექმნეს ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები. ამჟამად, არსებობს სომხური ფირმები, რომლებიც საქართველოს მეშვეობით ვაჭრობენ აზერბაიჯანთან. ამასთან, თურქეთს იყენებენ „სატრანზიტო სანყობად“, ხოლო თურქ დისტრიბუტორებს საქონლის იაფად შესაძენად. სომხური კონიაკი იყიდება აზერბაიჯან-

ში, ხოლო აზერბაიჯანული ხიზილალა სომხეთში. სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლის გაცვლა ხდება სასაზღვრო ბაზრობებზე, რომლებიც, გარკვეულწილად, „კონფლიქტის“ შედეგადაა აღმოცენებული (მაგალითად, სადახლოს ბაზრობა).

საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სომხეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები იმ პირობებშიც კი, როცა ამ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური კავშირები. სხვადასხვა შეფასებებით სომხურ-თურქული ვაჭრობის მოცულობა 250-300 მლნ დოლარს შეადგენს. სომხეთში საქმიანობენ თურქი ბიზნესმენები, ხოლო თურქეთში ფუნქციონირებს სომხურ-თურქული ერთობლივი საწარმოები. თურქი ეკონომისტების შეფასებით, თურქეთის ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანში, ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ჩინეთში, შეიძლება მინიმუმ სამჯერ გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ აღდგება სარკინიგზო და საავტომობილო კავშირები სომხეთსა და ნახჭევანის გავლით. იმის გამო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაიკეტა ყარსი-გიუმრის სატრანზიტო მაგისტრალი თურქეთის ყოველწლიურმა დანაკარგმა 500-550 მლნ დოლარი შეადგინა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სომხეთ-თურქეთის და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნის შემთხვევაში, სომხეთში ექსპორტი 269-342 მლნ დოლარით გაიზრდება. ამასთან, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნა მკვეთრად გაზრდის თურქეთის სავაჭრო ბრუნვას შუა აზიის ქვეყნებთან, რითაც ის სატრანსპორტო დანახარჯებს 30-35%-ით შემამცირებს. ვფიქრობ, ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ლოგიკა, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს, ერთი მხრივ, სომხეთისა და თურქეთის დაახლოებამდე, ხოლო მეორე მხრივ, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებამდე ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვი საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან მიმართებით, სადაც აშკარად გამოიკვეთა რუსეთის დაპირისპირება დასავლეთთან როგორც გეოეკონომიკურ, ასევე გეოპოლიტიკურ ძრილში.

*გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია თუ გეოეკონომიკის პოლიტიზაცია?* ცივი ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა პირობა, რომ ეს რე-

გიონი გადაიქცეს იმ ხიდად, რომლის საშუალებითაც შეიძლება დასრულდეს გაეოპოლიტიკური კარჩაკეტილობა და რეგიონის კომუნიკაციურმა პოტენციალმა შეიძინოს გეოეკონომიკური მნიშვნელობა, არა მხოლოდ ცენტრალური აზიის და კასპიისპირეთის რეგიონში, არამედ მთელი ევრაზიის მასშტაბით.

სწორედ ამაზე მეტყველებს გეოეკონომიკურ პროექტები (TACIS; EATKK; TRACECA; INOGATE) და გეოეკონომიკური დოქტრინები („აბრეშუმის გზის სტრატეგია“ – 1999; „შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობა“ – 1993; ე.წ. „სერაჰის ხელშეკრულება“ – 1996), რომლებიც რეალიზდება რეგიონში.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს 1998 წ. მესამე პან-ევროპული სატრანსპორტო კონფერენცია, სადაც TRACECA-ს პროგრამა აღიარეს ევროპული სატრანსპორტო სისტემის პრიორიტეტულ მიმართულებად და, საქართველოს ინიციატივით, მიიღეს ახალი ტერმინი – DET rA (Dan-European Transport Area) – რომელიც აღნიშნავს შავი ზღვის გარშემო მიმდებარე არეალს. ეს არეალი თავისი პოტენციალით უთანაბრდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ევროპულ დერეფნებს.

ამავდროულად, რეგიონში განხორციელდა გლობალური მნიშვნელობის რიგი კომუნიკაციური პროექტები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ნავთობსადენი ბაქო-სუფსა; ტრანსკასპიური გაზსადენი – თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი; გაზსადენი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. გარდა ამისა, პრესპექტივაში მოსალოდნელია ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ზრდა. უპირველეს ყოვლისა კი, ნავთობზე, რაც აქტუალურს გახდის ნავთობის გლობალურ ბაზაზე უწყვეტი მიწოდების მიზნით, წყაროთა დივერსიფიკაციის საკითხს. თუ ასეთი წყარო არ მოიძებნა „საერთაშორისო ბაზარზე, კონიუნქტურის დინამიკის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის რეგიონზე 80%-მდე გაიზრდება“ (გეგეშიძე:1997:246), რაც არ შედის დასავლეთის გეოეკონომიკურ ინტერესებში.

დივერსიფიკაციის ვარიანტებში კი, სამხრეთ კავკასიაზე გამავალი საკომუნიკაციო სისტემის კონკურენტუნარიანობა ეჭვს არ იწვევს არც გეოეკონომიკურ და არც გეოპოლიტიკურ კონტექსტში. აღნიშნულის გეოეკონომიკური ასპექტი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული პოტენციალის არსებობას. ამ რეგიონში არსებული ნავთობის და გაზის დიდი მარაგი აქტუალურს ხდის ეფექტურ საკომუნიკაციო სისტემის შექმნას, მათი მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირებისათვის.

ადგილი მისახვედრია, რომ დასავლეთის მიზანია თავიდან აიცილოს მონოპოლიური კონტროლი ნავთობსადენზე. სულერთია, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. ნავთობსადენს, რომელიც თურქეთზე გადის, აქტიურად დაუჭირა მხარი აშშ-ის ადმინისტრაციამ, ასევე, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის მთავრობებმა, რაც იმითაა მოტივირებული, რომ ამ ქვეყნებისათვის მილსადენი, რომელიც არ გადის არც ირანის და არც რუსეთის ტერიტორიებზე, წარმოადგენს დასავლეთთან კავშირის მნიშვნელოვან სეგმენტს. მეორე მხრივ, თავიდან არის აცილებული რუსეთსა და ირანზე დამოკიდებულება. გრძელვადიან პრესპექტივაში ტრანსკასპიური კომუნიკაციები, რომლებიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, ყველაზე უფრო მისაღები იქნება როგორც ცენტრალური აზიის, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის.

ევრაზიული კომუნიკაციის სისტემა სამხრეთ კავკასიაზე გავლით, რომლითაც დასავლეთის პოსტინდუსტრიული ქვეყნები უკავშირდება სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებს ხელსაყრელი პირობებს ქმნის თანამშრომლობისათვის არა მხოლოდ ენერგეტიკულ, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ სფეროებშიც. მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის საბაზო ხაზზე შექმნილი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, შეუწყობს ხელს ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზაციას. ნავთობისა და გაზის ათეულობით ტრანსნაციონალური კომპანიები დიდ ინვეს-

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ტიციებს დებენ რეგიონში და აფართოებენ სატრანსპორტო-კომუნიკაციურ პოტენციალს (რომლებიც მხარდაჭერილია ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან), რათა შეიქმნას დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო დერეფანი.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ ფუნქციას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემის კონტექსტში რეგიონი გარკვეულად განსაზღვრავს შესაბამის სიტუაციას ევრაზიაში, ხოლო მისი სატრანზიტო პოტენციალი აშკარად გამოკვეთილ გეოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი გეოპოლიტიკური შედეგი ის გახდა, რომ გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენამ გლობალური მასშტაბიდან გადაინაცვლა ევრაზიის კონტინენტზე. თუმცა, ამ მასშტაბშიც დაპირისპირების გეოპოლიტიკური ხასიათი არ შეცვლილა.

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური ბლოკების შექმნა, რომლის ძირითადი ინიციატორი იყო რუსეთი. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული პროექტი გახლდათ ე. წ. „პრიმაკოვის დოქტრინა“, რომელიც გულისხმობდა მძლავრი კოალიციის შექმნას ლერძზე: მოსკოვი – პეკინი – თეირანი. ეს პროექტი უფრო ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვიდრე რეალური პრესპექტივა.

ამ ფონზე გაცილებით რეალისტურად მოჩანდა გეოპოლიტიკური ბლოკის შექმნა რუსეთი – ირანი – სომხეთის ლერძზე. ეს ლერძი დღესაც აქტიურად განიხილება გეოპოლიტიკურ წრეებში, რადგან გადის სამხრეთ კავკასიაზე, ამიტომაც გავამახვილებ ყურადღებას. ის, უპირველეს ყოვლისა, შეეხო საქართველოს და ნეგატიური შედეგები უკვე სახეზეა – მოხდა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია.

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობს გამაერთიანებელი ძალის არარსებობის ფონზე. რეგიონი მოქცეულია გარე გეოპოლიტიკური ინტერესების „ტყვეობაში“. სწორედ გეოპოლიტიკური დაპირისპირება რჩება რეგიონ-

ნის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა: იდეოლოგიური და კულტურული პროპაგანდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება კონფლიქტების გააქტიურების მიზნით, “de facto” ერთმანეთთან დაპირისპირებული ალიანსების შექმნა და ეთნიკური სეპარატიზმით მანიპულირება.

თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ პროექტებს სამხრეთ კავკასიაში, გარკვეული აზრით, შეიძლება ვუნოდოთ გეოეკონომიკურ-ფსიქოლოგიური პროექტი. ჩემ მიერ შემოთავაზებულ ტერმინში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ სიტუაციას, როცა მინიმუმამდეა დაყვანილი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანებისაკენ სწრაფვა და აქტიურდება პოლიტიკური სუვერენიტეტის ფაქტორი. მეორე მხრივ, რუსეთმა ღია ეკონომიკური ომი გააჩაღა საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ, რითაც კარგად „შეფუთა“ თავისი გეოპოლიტიკური მიზნები.

ამ ორი ფაქტორის სიმბიოზით რუსეთმა გაააქტიურა წარსულის „დამცირების“ და „ჩამორჩენილობის“ ფსიქოლოგიური კომპლექსი, განსაკუთრებით რეგიონში არსებული ავტონომიების დონეზე, რამაც შექმნა ეკონომიკური კავშირების დასუსტების პირობები რეგიონის შიგნით. ეს სიტუაცია აისახა რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე. სომხეთი ეკონომიკურად ეხმარება ყარაბახს, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თურქეთი – აზერბაიჯანს.

ამ სიტუაციით რუსეთი ცდილობს ეკონომიკურ-ინტეგრაციული პროცესები რეგიონის სახელმწიფოთა დონეზე, გადაიყვანოს გეოპოლიტიკური დეზინტეგრაციის რეჟიმში. ამით იგი ცდილობს ხელი შეუწყოს ვერტიკალური კავშირების გააქტიურებას და ხელს უშალოს ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირების განვითარებას. სწორედ ამას ემსახურება რუსეთის გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც „ნეოევრაზიანიზმის“ სახელითაა ცნობილი. ამ პროექტის ძირითადი იდეა რუსეთის სამხრეთით გაფართოებაა. ეს გულისხმობს სამხრეთ კავკასიაზე კონტროლს, რითაც მას გზა ეხსნე-

ბა „თბილი ზღვებისკენ“ და აქედან გამომდინარე, *რუსეთის საზღვრის უმნიშვნელო გადატანაც კი ამ მიმართულებით კონტინენტური ძალების მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევა*. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა ის, რომ სამხრეთ კავკასიას „ნეოევრაზიანელები“ რუსეთის შიდა გეოპოლიტიკურ ზონად თვლიან.

პროექტი ითვალისწინებს, ასევე, რეგიონის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რესტრუქტურისა და რაც ეფუძნება ვერტიკალურ კავშირებს. ამ შემთხვევაში ინტეგრაციის ვექტორი რადიკალურად იცვლება. მთელი სამხრეთი კავკასია დაექვემდებარება მხოლოდ ვერტიკალურ ორიენტაციას. ამ სამკუთხედის სტრატეგიული ცენტრები კი სამხრეთით განლაგდებიან.

ამ პროექტის მიხედვით, აუცილებელია ყველა ჰორიზონტალური კავშირის აღკვეთა ღერძზე: აშშ – თურქეთი – აზერბაიჯანი – ცენტრალური აზია. ჰორიზონტალური კავშირების წყვეტა ხდება ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალი ავტონომიების დონეზეც. ინგუშეთი – ჩეჩნეთი – დაღესტანის ღერძზე. ამ შემთხვევაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთით რჩება საქართველო, ამიტომ მათი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები შეიძლება დაუკავშირდეს ჩვენს ქვეყანას.

„ნეოევრაზიანიზმი“ გააფთრებით ებრძვის სამხრეთ კავკასიაში ერი-სახელმწიფოს მოდელს, და მკაცრად ფიქსირებულ ადმინისტრაციულ წარმონაქმნებს მუდმივი საზღვრებითა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. კავკასიის ნეოევრაზიული პროექტით გათვალისწინებულია რეგიონის გადაყვანა ცენტრი-პერიფერიის მოდელზე, რომელშიც პერიფერიული სტრუქტურა დეტერმინირდება არა პოლიტიკურად, არამედ ეთნო-კულტურულად. ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელია „კავკასიის ფედერაციის“ შექმნით, რომელიც გააერთიანებს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებს და რეგიონში არსებულ ავტონომიებს.

სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებული გეოპოლიტიკურ როლს ასრულებს სომხეთი, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავ-

შირეა. ამიტომ, რუსეთი დაინტერესებულია სახმელეთო დერეფნის შექმნით, რომელიც საიმედოდ დააკავშირებს სომხეთთან და, ძირითადად, დააკმაყოფილებს რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში. ამდენად ის, რომ რუსეთი ებრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სრულიად აშკარაა.

არსებობს კი ამ პროექტის შემდგომი გაგრძელების რეალური პრესპექტივა? ვფიქრობ, რუსეთს მისი რეალიზაცია ძალიან გაუჭირდება შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი: ტერიტორიების ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთი ვერ ახორციელებს კონტროლს სამხრეთ კავკასიის ორ მთავარ გეოეკონომიკურ მოთამაშეზე (საქართველო-აზერბაიჯანი).

მეორე: ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები მიუთითებს იმაზე, რომ მას უჭირს სრული კონტროლი დაამყაროს ამ რეგიონზე.

მესამე: რუსეთს არ გააჩნია სახმელეთო საზღვარი არც სომხეთთან და არც ირანთან. სომხეთსა და რუსეთს შორის სახმელეთო კომუნიკაცია გადის საქართველოზე, ხოლო რუსეთსა და ირანს შორის აზერბაიჯანზე. ერთადერთი ხელმოსაჭიდი რჩება რუსეთ-ირანის საზღვაო საზღვარი, რომლის პრესპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ხუთი კასპისპირა სახელმწიფო, საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით უკვე განიხილავენ კასპის ზღვის სექტორული დაყოფის საკითხებს. ამით სერიოზულად შესუსტდება რუსეთისა და ირანის პოზიციები არა მარტო რეგიონში, არამედ მთელ ცენტრალურ აზიაში.

მეოთხე: საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარება, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოთა აქტიური მონაწილეობა გლობალურ გეოეკონომიკურ პროექტებში ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის დასავლეთს, თვითონ გააკონტროლოს ეს გეოპოლიტიკური ღერძი. ამ შემთხვევაში სომხეთი პასიურ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ რჩება.

მეხუთე: რუსეთს ძალიან გაუჭირდება გაუძლოს დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ზენოლას, რაც აშკარად კონფლიქტურ ხასიათს იძენს.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

მეექვსე: რუსეთის ეკონომიკური რესურსები ამოუწურავი არაა. მას უკვე აღარ შესწევს უნარი, ეკონომიკური ომი აწარმოოს, ასე ვთქვათ, გაშლილ ფრონტზე (მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტები, მეორე მხრივ, დასავლეთის ძლიერი ეკონომიკური ბლოკი).

აღნიშნულის მიუხედავად, რუსეთი მიისწრაფვის, რომ „შემოვლთი გზებით“ მოახერხოს თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. კერძოდ, იგი ცდილობდა “de jure”-დ არაკონტროლირებადი ტერიტორიები “de facto” კონტროლის მეთოდებით ჩაენაცვლებინა (ე.წ. მშვიდობისმყოფელთა სახით). ეს პროცესი რეალიზდებოდა რუსეთის გავლენის გაძლიერებით ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი) რუსული სამხედრო ბაზების გამოყენებით.

რუსეთი ანალოგიურად აკონტროლებდა ირანთან სახმელეთო კავშირებს აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენებით. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგად, აზერბაიჯანმა იგი გადაკეტა. თუმცა, ამჟამად რუსეთი ცდილობს მის რეაბილიტაციას ყარაბახის კარტის გათამაშებით.

რას მიიღებს რუსეთი სამხრეთ კავკასიის გაკონტროლებით, ძნელი წარმოსადგენი არაა. იგი უალტერნატივოდ გააკონტროლებს ჩრდილო-სამხრეთის სახმელეთო სივრცეს, ევრაზიის კომუნიკაციის ძირითად ხაზებს და ამით იგი მონოპოლისტი ხდება კასპიის და ცენტრალურ აზიაში არსებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაში. მეორე მხრივ, იგი ტრადიციულ გეოპოლიტიკურ იზოლაციაში ტოვებს ცენტრალურ აზიას, რითაც შეინარჩუნებს კონტროლს ამ რეგიონზე და შექმნის შიდა ევრაზიულ ბუფერს, რომელიც დაუპირისპირდება დასავლური ბლოკის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელებას ევრაზიის სიღრმეში. მესამე – უდიდესი ტერიტორია, შავი ზღვიდან სამხრეთ კორეამდე, პრაქტიკულად, მთლიანად გაკონტროლდება რუსეთის მიერ.

ამდენად, გეოეკონომიკური რიტორიკის მიუხედავად, სამხრეთ კავკასია კვლავ რჩება გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენად

კონტინენტურ და ატლანტურ ძალებს შორის. გეოპოლიტიკური პროექტების უმეტესობა ჯერ კიდევ ეფუძნება „განაწილების“ და „გავლენის სფეროების“ ძველ კონცეპტუალურ ხედვებს. ამიტომ გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ ახლებურად იქნას გააზრებული ის პროექტები, რომელიც უკავშირდება რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ სუსტია რეგიონის ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხი და, მეორე მხრივ, რეგიონის სახელმწიფოთა შორის, კლასიკური გაგებით, ის პრაქტიკულად არ არსებობს, სრულად რეალურად მეჩვენება მათი გააქტიურების პერსპექტივა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ტრანსკომუნიკაციურ შესაძლებლობებს, გეოეკონომიკური პროექტების სტრატეგიკაციას და მძლავრი რეგიონული ფინანსური ცენტრების შექმნას.

ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, რომელსაც არსებული კონფრონტაციული სიტუაციის შეცვლის დიდი პოტენციალი გააჩნია. რეგიონში არსებული ეკონომიკური ბაზრის უნიკალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო და ეკონომიკური პრაგმატიზმი შეიძლება მოვიაზროთ მომავალი ერთიანი გეოეკონომიკური სივრცის ფორმირების საწყის მოდელად.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ტრანსკონტინენტურ ეკონომიკურ პროექტებთან ერთად მოხდეს ბიზნესის გააქტიურება, სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. ამ მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას დასავლეთში კარგად აპრობირებული ტრანსსაზღვრო ვაჭრობა.

რეგიონი კვლავ ფუნქციონირებს ძველი რეგიონალიზმის პარამეტრების რეჟიმში და განიხილება როგორც პასიურ-დისოციალური, რომელიც ატარებს გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ხასიათს, ხოლო გეოეკონომიკური სტრატეგია კი იგება არა თანამედროვე გეოეკონომიკური რეგიონალიზმის პრინციპებზე, არამედ ჩვეულებრივ მერკანტილიზმზე.

### ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბ., 2003.
2. ა. გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. თბ., 1997.
3. გ. კვინიკაძე. გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი, 2006.
4. გ. კვინიკაძე. გეოეკონომიკა. თბ., 2008.
5. გ. კვინიკაძე. გლობალიზაცია და კავკასიის ახალი გეოეკონომიკური რეალობა. აკად სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. გამ. „უნივერსალი“ თბ., 2009.
6. გ. კვინიკაძე. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა – საქართველოს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთადერთი გზა. ჟურნ. „დრომიკოსი“. იანვარი 2010.
7. F. Fukuyama. The End of History// The National Interest, Summer, 1989, № 16.
8. Hette. Globalization and New Regionalism, vol. № 1 L., 1999.
9. J. Naisbitt. Abrudene P. Mega trends 2000: The Next Ten Years, L., 1990.
10. J. Naisbitt. Global Paradox: The Bigger the World Economy, the More Powerful Its smaller Players. N.Y., 1994.
11. J. Scholte. Globalization. A Critical Introduction. N.Y., Palgrave, 2000.
12. J. Wallersten. The Insurmountable contradiction of liberalizm: Human Rights and people in the Geoculture of the modern World-System. N.Y., 1993.
13. K. Ohmae. The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. N.Y., 1990.
14. K. Ohmae. Iden The end of the nation state: The Rise of Regional Economics. L., 1995.
15. K. Waltr. The Emerging structure of International Politics. International Security. Autumn, 1993, vol. 18 Issue 2.

16. Luttwak. Turbo-Capitalism: Winners and Losers in the Global Economy, L., 1998.
17. N. Chomsky. World Order, Old and New. L., Pluto Press, 1994.
18. R. Cox. Approach to World Order, Cambridge. Cambridge University Press, 1996.
19. R.Gachechiladze. Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players//Geopolitics. summer 2002, vol.7 № 1.
20. S. Huntington. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. N.Y. Simon & Shuster. 1996.
21. Д. Айвазов. [www.ca-c.org/c-g/2006/journal\\_rus/c-g-1/03](http://www.ca-c.org/c-g/2006/journal_rus/c-g-1/03)
22. [www.wto.org](http://www.wto.org)

### **Is the South Caucasus an Integral Geoeconomic Region?**

#### **Resume**

Features of Geoeconomic development of Post-Soviet South Caucasus are considered in the article against the background of existing geopolitical situation. We are trying to determine whether the system of economic relations existing in the region is capable to deal with the realization of negative geopolitical projects offered by neighbour states and how much it is ready to become a plenipotentiary player of Global Geoeconomic space. In our opinion, South Caucasus remains a passive, dissocial region due to the negative impact of those geopolitical projects which are carried out by the large continental players (especially Russia). The region's economic situation is assessed as a geoeconomic-fragmentary one, which means that the Economic Relations Strategy of the regional actors is based not so much on liberal-economic as on mercantile principles.

## რა არის გეოეკონომიკური ლიმოლოგია?\*

სტატიაში ვისაუბრებ სამეცნიერო წრეებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ, ლიმოლოგიის გეოეკონომიკურ აქტორზე, რომლის აქტუალობა მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ არქიტექტურაში უკვე სრულიად ნათელია. ნაშრომის მიზანია ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ლიმოლოგიის კონცეფციის განვითარების ანალიზი და ამ ბაზაზე მისი გეოეკონომიკური სეგმენტის ჩამოყალიბების შესაძლებლობების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტად შერჩეულია საზღვრის ფუნქციონირების პროცესი ახალი გეოეკონომიკური სივრცის პირობებში. ამიტომ, რელევანტურად მივიჩნევ ისეთ ამოცანებზე ფოკუსირება, როგორცაა:

- ლიმოლოგიაში არსებული კონცეპტუალური მიდგომების ანალიზი;
- გეოეკონომიკური მიდგომების ფიქსირება;
- გეოეკონომიკური ლიმოლოგიის დეფინიციის შემოტანა მეცნიერულ ბრუნვაში.

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარი კითხვაა გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენს გეოეკონომიკური ლიმოლოგია და რა გავლენას ახდენს იგი მსოფლიო გეოეკონომიკურ წესრიგზე.

სამუშაო ჰიპოთეზა კი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბე: თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში საზღვრის ტრადიციულ გეოპოლიტიკურ ფუნქციას ანაცვლებს გეოეკონომიკური.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კვლევის მეცნიერული სი-

---

\* „ეკონომიკა“ – საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. №3-4. 2011, გვ. 169-176. იხ., [www.economika.com.ge](http://www.economika.com.ge)

ახლეთ თეორიულ ლიმოლოგიაში ახალი გეოეკონომიკური მიდგომის ფიქსირება და მის საფუძველზე, „გეოეკონომიკური ლიმოლოგიის“ ცნების მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანა.

ტრადიციული მიდგომები საზღვრის ფენომენს ხსნიდნენ გეოპოლიტიკური ფაქტორებით, რომლის მიხედვითაც ერი-სახელმწიფოები განიხილებოდნენ სტატიკურ მოცემულობებად, როგორც „ბუნებრივი“ რეგიონები. ტერიტორიებისადმი ასეთი შეხედულება ტიპურია ტრადიციული პოზიტივისტური მიდგომისათვის. ზოგადად, საზღვრის კვლევის მიდგომები შეიძლება დავყოთ გეოეკონომიკურამდელად (ისტორიულ-გეოგრაფიული, ფუნქციონალური, პოლიტოლოგიური) და გეოეკონომიკურად (მსოფლიო სისტემური იდენტობის გეოპოლიტიკური, გეოსოციალური და ა.შ.).

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ ერი-სახელმწიფო და მისი შიდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები თითქმის არასოდეს არ განხილულა როგორც ერთიანი სისტემა, მიუხედავად კონკრეტულ კვლევებში დაგროვილი დიდი მოცულობის ფაქტობრივი მასალისა. პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერება სერიოზულად დაზარალდა იმით, რომ ამ კვლევებს აკლდა თეორიული გააზრება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ყოფილა მცდელობები განსაზღვრულიყო პრობლემის თეორიული ჩარჩოები. მხოლოდ ასეთი ჩარჩოების განსაზღვრა ხდებოდა საერთაშორისო საზღვრების ფორმირებისა და ევოლუციის გეოპოლიტიკურ კონტექსტში. მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რაც დაემთხვა გეოეკონომიკის ფორმირებას. ამკარაა, რომ საზღვრის ფუნქციის შესწავლა უკვე შეუძლებელია მხოლოდ ერი-სახელმწიფოს დონეზე შემდეგი მიზეზების გამო:

- ერი-სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვარი უკვე აღარ ემთხვევა ამ სახელმწიფოთა ეკონომიკურ საზღვარს (ჩამოყალიბდა ე.წ. „მოდრავი“ ეკონომიკური საზღვრები);
- ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციისა და კულტურის გლობალიზაციის ურთიერთქმედებით ძლიერდება იდენ-


გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ტობა (სასაზღვრო ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია უკვე ველარ აიხსნება მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის არსებული საზღვრის თავისებურებით).

სწორედ, ეს მიზეზები გახდა იმის საფუძველი, რამაც კენიჩი ომეს ათქმევინა, რომ „მომავალში ერი-სახელმწიფო გადაიქცევა „ნოსტალგიურ ფუნქციად“. ის შეიძლება ინარჩუნებდეს პოლიტიკური ფუნქციის ნაწილს, მაგრამ სრულ დევალვაციას განიცდის ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ გვთავაზობს უარი ვთქვათ „კარტოგრაფიულ ილუზიებზე“ და შევეგუოთ საზღვრების ნაშლის გარდაუვალ პროცესს, რომელზეც, სულ მცირე 4 ფაქტორი ზემოქმედებს: ინვესტიციები, ინდუსტრია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინდივიდუალური მოთხოვნილებები“ (ციტ: კვინიკაძე 2008 :254). ამ ფაქტორთა ზემოქმედებით ეკონომიკური საზღვრების რღვევის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება იგივე იტალიაში, გერმანიაში, აშშ-ში და ა.შ. თუმცა, ნაშრომის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა. ამ ფაქტორთა ზემოქმედების გეოეკონომიკური შედეგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც გლობალური ქსელის ფორმირება, სადაც მტკიცდება „ცენტრი-პერიფერიის“ სტრუქტურები (Tayler, Flint:2000).

ეკონომიკის გლობალიზაცია და ტრანსსასაზღვრო დინებების (ადამიანთა, კაპიტალის, ინფორმაციის, საქონლის, მომსახურების და ა.შ.) უსწრაფესი ზრდა, საერთაშორისო და გლობალური ინსტიტუციების კომპეტენციის გაფართოება, სხვადასხვა ტიპის ტრანსნაციონალურ აქტორებთან სინერგიაში ცვლის საზღვრის ფუნქციას, რომელიც სულ უფრო ტრანსპარენტული ხდება. ერი-სახელმწიფოები თავისი ეკონომიკური ფუნქციების დელიგირებას ახდენენ რეგიონულ, საერთაშორისო, ტრანსნაციონალურ და გლობალურ ინსტიტუტებთან. გეოეკონომიკური ინტეგრაციული დაჯგუფებები იქმნება არა მხოლოდ საერთო ეკონომიკური ინტერესების, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან მათი პოლიტიკური და ცივილიზაციური კუთვნილების საფუძველზეც.

ამ პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად სასარგებლოა იმ სამი მიდგომის ანალიზი, რომელიც ასახავს ერისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას. ამ ანალიზის საფუძველზე კარგად ჩანს ის ცვლილებები, რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი (ნახ.1).



პრიმონდიალური ხედვა ეთნოსსა და სახელმწიფოზე, ფაქტობრივად, წარმოადგენს ეთნიკურად ერთფეროვანი სახელმწიფოს კონცეფციის საფუძველს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის ფუნქციას განსაზღვრავს ის თუ რამდენად ლოიალურია მოქალაქე საკუთარი სახელმწიფოსადმი.

სტრუქტურული თეორიის თანახმად, სახელმწიფო – ეს არის ხელისუფლების რეალიზაციის ადგილი. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ის ცდილობს გააფართოოს თავისი გავლენის სფერო, რათა თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციოს გარედან მოქმედი ფაქტორები. თუმცა, გლობალური ეკონომიკის აქტორთა სიძლიერე მნიშვნელოვნად აღემატება ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების შესაძლებლობებს, ამიტომ „ისინი იძულებულნი არიან დაემორჩილონ გლობალური ეკონომიკური თამაშის წესებსა და ნორმებს და უარი თქვან ეკონომიკური სუვერენიტეტის ნაწილზე“ – წერს საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროფესორი პიტერ ტეილორი (Taylor:1994).

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ნეოლიბერალური კონცეფციის მომხრეები ასევე მიუთითებენ ეკონომიკური საზღვრების დევალვაციაზე გაძლიერებული ტრანს-ნაციონალური ძალების ზეგავლენით.

ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასავლელ მეცნიერთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება საზღვრების წაშლის თეორიას. ისინი მიუთითებენ, რომ საზღვრები კვლავ რჩება მნიშვნელოვან ბარიერად მსოფლიოს იმ რეგიონებშიც კი, სადაც ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პროცესი საკმაოდ წინ არის წასული.

იმის მიუხედავად, რომ ძალზე მაღალია აშშ-ის და კანადის ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი (ისინი გაერთიანებული არიან ერთიან გეოეკონომიკურ რეგიონში – ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა) კანადის „საშუალო“ პროვინციის საქონელბრუნვა (კორექტირებული მოსახლეობის რიცხოვნობის და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით) 12-ჯერ, ხოლო მომსახურების გაცვლით 40-ჯერ მეტია, ვიდრე მეზობელ აშშ-ის შტატში, აღნიშნავს საზღვრის პრობლემის ცნობილი მკვლევარი ჯონ ჰოლიველი (Helliwell:1998).

მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა, როგორც ჩანს, დისკურსი საზღვრების წაშლის თაობაზე უპრიანია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა საზღვრების მიმართ, რომლებიც ღიაა, მშვიდობიანია და დიდი ხნის აღიარებულია სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ასეთი მდგომარეობა კი, ძირითადად, ფიქსირდება ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც მსოფლიო სახმელეთო საზღვრების სიგრძის მხოლოდ 5%-ია. სამაგიეროდ, მაღალ კონფლიქტურ პოტენციალს ინარჩუნებს საზღვრები აზიაში, აფრიკაში და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ ტერიტორიებზე სახმელეთო საზღვრები იცვლება როგორც კლასიკური გეოპოლიტიკური საშუალებებით (განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში), ასევე სოციალური რეალობის ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, აფრიკაში სახმელეთო საზღვრის საერთო სიგრძის 42% ძირითადად პირობითადაა გატარებული პარალელებზე, მერიდიანებსა ან/და თანაბრად დამორეზულ ხაზებზე.

ლიმოლოგიის თეორეტიკოსებში არსებობს წარმოდგენა (რომლებსაც სრულიად იზიარებენ ნეოლიბერალური შეხედულებების მეცნიერები), რომ ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციისა და ლიბერალიზაციის, ასევე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დაწინაურებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების გავლენით, საზღვრის ფუნქცია განიცდის ხაზობრივ ევოლუციას. ამგვარ ევოლუციას განსაზღვრავს ადამიანის მიერ გლობალური პრობლემების გაცნობიერება, საერთაშორისო თანამშრომლობა ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით და მათი გადაჭრა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ნეოლიბერალები იხრებიან სასაზღვრო წინააღმდეგობების და დავების გადაჭრისკენ საზღვრის ეკონომიკური და იდეოლოგიური ფუნქციის გამიჯვნით. ამ კონცეფციის თანახმად, ნაციონალიზმის ექსცესები და ეთნოსის თვითგამორკვევის აბსოლუტიზირება წარსულს ჩაბარდება პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების დემოკრატიზაციის გაფართოების შედეგად. გარკვეულ ოპტიმიზმს ბადებს, ასევე, ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებიც (Wu Chung-Tong:1998).

ამდენად, თეორიული ლიმოლოგიის ნეოლიბერალური რაკურსი სრულიად ემთხვევა საზღვრის კვლევის გეოეკონომიკურ ხედვას. თუმცა, დისკურსს საზღვრის შესახებ გააჩნია რამდენიმე პლასტი, რომელიც არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს.

კრიტიკული გეოპოლიტიკის თეორიაზე (Toal:1996) დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ „მაღალი“ და „დაბალი“ გეოეკონომიკა.

**„მაღალი“** – ეს არის ეკონომიკური დიპლომატიისა და ექსპერტების საქმიანობა ლიმოლოგიის სფეროში. ისინი ამუშავებენ კონცეფციებს, რომ დაასაბუთონ და გაამართლონ ქვეყნის გეოეკონომიკური ქმედებები გლობალურ ეკონომიკურ არენაზე. „მაღალი“ გეოეკონომიკა, რომელიც იყოფა თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებად, უპირველეს ყოვლისა, დაკავებულია ზოგადსტრუქტურული ხასიათის კვლევებით (მსოფლიოს გეოეკონომიკური წესრიგი, საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების სტრუქტურა და ა.შ.).

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

რაც შეეხება „დაბალ“ გეოეკონომიკას, ის, პრაქტიკულად, წარმოდგენს გეოეკონომიკური წარმოდგენების კრებულს საზღვართან მიმართებაში, რომელიც მოცემულია მედიაში, რეკლამაში, კინოში და სხვა. „დაბალ“ გეოეკონომიკას ეფუძნება მსოფლიოს გეოეკონომიკური ხედვა. აღნიშნულ კონტექსტში მსოფლიოს გეოეკონომიკური ხედვის ქვეშ, მოვიაზრებ წარმოდგენათა კრებულს გეოეკონომიკური სივრცის ცალკეულ ელემენტებს შორის თანაფარდობის შესახებ და მათ კავშირს უკვე ფორმირებულ ან/და ფორმირების პროცესში მყოფ „უპირატესად პოლიტიკურ“ საზღვრებთან. ის ასევე მოიცავს წარმოდგენებს ტერიტორიების ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემებზე, სახელმწიფო წყობის დომინანტ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოდელებზე.

წარმოდგენები საზღვრის როლის შესახებ სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ. მაგალითად, კავკასიის ქვეყნების მთავრობებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრების წარმოჩენა გლობალურ მასშტაბში (საზღვარი ევროპასა და აზიას შორის), მაკრორეგიონალურ დონეზე (როგორც მათი ხალხების ძირძველი საზღვარი ან პირიქით, როგორც შედეგი გამჭრიახი, მაგრამ მტკივნეული დათმობისა საერთაშორისო სტაბილურობისათვის).

ამდენად, უკიდურესად ზოგადი ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ დღეისათვის თეორიულ ლიმოლოგიაში საკმაოდ დიდი ინფორმაციაა დარგოვილი იმისთვის, რომ საფუძველი დაედოს ახალ მიმართულებას, გეოეკონომიკურ ლიმოლოგიას. ეს მიმართულება საჭიროებს ახალ თეორიულ მიდგომებს. ერთი რამ კი ცხადია, გეოეკონომიკური ლიმოლოგია მულტიდისციპლინური ხასიათისაა და მისი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი სივრცე და დროა.

ზემოთ მოტანილი თეორიული და პრაქტიკული კონსტრუქციები საშუალებას იძლევა შემოვფარგლოთ ის საგნობრივი არეალი, რომელშიც უნდა ფუნქციონირებდეს გეოეკონომიკური ლიმოლოგია. კერძოდ, *მისი შესწავლის საგანია საზღვრის ტრადიციული (გეოპოლიტიკური) ფუნქციის სისტემური ტრანსფორმაცია გლობალური ეკონომიკის აქტორთა ზემოქმედებისას, სივრცესა და დროში.*

## გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა

1. ციტი: გიორგი კვინიკაძე, გეოეკონომიკა/მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორი/, სახელმძღვანელო, თბ., 2008.
2. Helliwell J. How much do National Borders Matter? New York: Brooking Institution Press, 1998.
3. Tayler P., Flint G. Political geography, World-economy Nation-state and Locality. Fourth edition. Harlow Hall (London), 2000.
4. Tayler P. The State as Container: Territoriality in the Modern World-system//Progress in Human Geography, 1994, vol.18, p.151-162.
5. Tool G. Critical Geopolitics. The Politics of Writing Global Space. Minneapolis: University of Minnesota Press, 1996.
6. Wu Chung-Tong. Cross-border Development in Europe and Asia GeoJournal, vol. 44. № 3. 1998, p.189-201.

### **What is Geo-economic Limology?**

#### **Resume**

The work discusses a less known geoeconomic actor of Limology the actuality of which is absolutely evident in the world geoeconomic architecture. The goal of the presented article is to analyze the theoretical conception of Limology and determine the possibilities of developing its geoeconomic segment.

It can be said that a state and its inner political-administrative borders have almost never been considered as a unified system. Despite the fact that scientific works contained quite a lot of factual materials, political Limology, in the recent past, was seriously damaged by the deficiency of theoretical considerations in this field.

Even the most general analysis of the existing materials shows that by now quite considerable amount of information is accumulated to form the basis for a new direction – Geoeconomic Limology, which is of multi-disciplinary character, and space and time remain its most significant actors.

The analysis of theoretical and practical constructions connected with the object of research made it possible to limit the subject area in which Geoeconomic Limology should function. Namely, the subject of its study is the process of systemic transformation of the traditional (geopolitical) function of the border taking place in space and time under the influence of the actors of global economy.

## მიგრაციისა და ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკური პრობლემები ტრანსნაციონალიზმისა და ტრანსლოკალურობის კონცეფციებში\*

*მიგრაცია ტრანსნაციონალიზმის კონცეფციაში.* ტერმინი ტრანსნაციონალიზმი სამეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩნდება. მისი შემოტანა მეცნიერულ ლექსიკონში უკავშირდება ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციებს, სადაც დომინირება იწყო მსხვილმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა (ტნკ), ბანკებმა (ტნბ), კორპორაციებმა და გლობალურმა ქალაქებმა.

ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა სასკია სასენმა საგანგებო კვლევები მიუძღვნა გლობალური ქალაქების შესწავლას, რომლებიც წარმოადგენდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებისა (ბანკების, იურიდიული ფირმები) და ადამიანთა (საერთაშორისო დონის ექსპერტები) თავმოყრის ადგილებს. სწორედ მათ შესასწავლად გამოიყენა მან ტერმინი „ტრანსნაციონალობა“, რითაც ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, სივრცობრივ განზომილებებს და, მეორე მხრივ, გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების მასშტაბებს (Sassen:1991).

ამჟამად, ტერმინი ტრანსნაციონალიზმი უკვე აქტიურად გამოიყენება მიგრაციული პროცესების კვლევაში. ტრანსნაციონალური მიგრაციის კლასიკურ კვლევებში ადამიანები ადგილთან (კონკრეტული სივრცის ნაწილი) უწყვეტ კავშირში განიხილებიან, ანუ აუცილებლად სადღაც არიან ლოკალიზებულნი. ადგილთან

---

\* ე. კოდუას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010, გვ.196-218.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

კავშირი ხორციელდება განსაკუთრებული ლოკალური კულტურის მაშვეობით. ამდენად, მიგრანტი უნდა შეეგუოს ან/და მოახდინოს ასიმილაცია ადგილობრივ კულტურასთან.

1990-იანი წლების დასაწყისში ეს თეზისი ეჭვქვეშ დააყენეს რიგმა დასავლელმა მეცნიერებმა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანეს ტერმინები – ტრანსმიგრანტები, როგორც ტრანსნაციონალური მიგრაციის კვლევის საბაზო ცნება. აღნიშნული პარადიგმის ჩარჩოებში ტრანსნაციონალიზმი მოიაზრება, როგორც სოციალური პროცესი, სადაც მიგრანტები ქმნიან სოციალურ ველს, რომელიც კვეთს გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრანტები ტრანსმიგრანტების სტატუსს იძენენ მაშინ, როცა ისინი ავითარებენ ოჯახურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომლებიც, ამავდროულად, საზღვარმკვეთ ფაქტორებსაც წარმოადგენენ.

ტრანსმიგრანტები, ფაქტობრივად, ცხოვრობენ რამდენიმე ადგილას და ჩართულნი არიან ერთი ან მეტი საზოგადოების საქმიანობაში, ქმნიან ახალ ურთიერთდამოკიდებულებებს და ახდენენ ისეთი საზოგადოების კონსტრუირებას, რომლებიც განსაკუთრებული სახით არიან დაკავშირებული სახელმწიფოებთან და მათ ტერიტორიებთან (Rouse:1996; Gitirrez:1995).

ტრანსნაციონალური მიგრაციის ცირკულაციის იდეა, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩავთვალოთ 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის ახალ თეორიული წარმატებად. თუმცა, უფრო ღრმად თუ ჩავეძიებით, იგი პრაქტიკულად წარმოადგენს ახლებურად გააზრებულ იმ იდეების ინტერპრეტაციას, რომელიც დაკავშირებული იყო შიდა მიგრაციების კვლევასთან. უფრო კონკრეტულად კი გეოეკონომიკური პერიფერიების მოსახლეობის ტრანსნაციონალურ გადაადგილებასთან. მაგალითად, მიურეი ჩემპენის და მენსელ პროტეროს მიერ ცენტრალური აფრიკის სამხრეთ რეგიონში ჩატარებულმა კვლევებმა (კვლევები გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარდა – გ.კ.) აჩვენა, რომ ამ რეგიონში

მიგრაცია ატარებდა „ცირკულირებად და არა ერთმიმართულებით ხასიათს“ (Chapman; Prothero; 1985:36).

ისაია გოლშტეინმა, რომელიც შიდა მიგრაციებს იკვლევდა მაღალიზაში ზემოთ აღნიშნული მიგრაციების ტიპის დასახასიათებლად გამოიყენა ტერმინი „ქანქარისებული“ (უმჯობესი იქნება, მიგრაციის ეს ფორმა მოვიხსენიოთ, როგორც მაქოსებრი. ეს უფრო ზუსტი ტერმინია – გ.კ.), ასეთი მიგრაციის შედეგი გახდა „ქალაქურ და სოფლის ცხოვრებას შორის საზღვრების ნაშლის ეფექტი“ (Codstein: 1985: 390). ჩემი აზრით, ამ კვლევის ზოგადი იდეა იყო ის, რომ მიგრაცია წარმოჩენილიყო, როგორც აქტორთა საქმიანობის სივრცის გაფართოება და არა როგორც ერთი პუნქტიდან მეორეში გადასვლა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, თვით მიგრაციული არეალი (ღია ან შექმნის პროცესში მყოფი – გ.კ.) გადაიქცევა კვლევის ერთ-ერთ მთავარ ინტერესის სფეროდ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გერმანელმა მეცნიერმა ლუდვიგ პრისმა შემოიტანა ტრანსნაციონალური სოციალური სივრცის ცნება (Pries:1996). მისი განმარტებით, ადამიანთა, კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და ინფორმაციის პერმანენტული გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციის პროცესებით, მიანიშნებს მიგრაციის კვლევებში ახალი ეპოქის დასაწყისს. ეს მართლაც ასეა, რადგან მიგრანტთა სოციალური ქსელი უკვე სერიოზულად ინტეგრირდება დიფუზიურ სივრცეებთან და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრების არსებობისა, ეს ქსელი წარმატებით ახერხებს ადამიანთა ეროვნული იდენტურობის ფრაგმენტაციას, ასევე მათი ცხოვრების გზისა და შრომითი კარიერის სტრუქტურულ-ზაციას.

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ ტრანსნაციონალური სოციალური სივრცეების არსებობა შლის მიგრაციის ტრადიციულ ფორმებს. კერძოდ, დღის წესრიგში ისე მწვავედ აღარ დგას ტრანსმიგრაციის მთავარი დილემა – ინტეგრაცია. როგორც ამ სფეროში არსებული კვლევების ანალიზიდან ჩანს, ხშირად მიგრანტები საერთოდ არ არიან ორიენტირებულნი ინტეგრაციაზე, ხოლო

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ტრანსმიგრანტთა ეთნიკური უმცირესობები იქმნება ადგილობრივი ელიტისგან და არა ახალგადმოსახლებულებისგან.

*საზღვრისა და საზღვრისპირა რეგიონების პრობლემა ტრანსნაციონალურ მიგრაციების პრიზმაში.* საზღვრის კვლევა (Border studies) ტრანსნაციონალური მიგრაციის გეოეკონომიკურ შესწავლაში, ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. ეს არის მეცნიერული მიმართულება, რომელიც იქმნება გეოგრაფიის, პოლიტოლოგიის, გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ურთიერთშეხების ადგილზე, მათ მიჯნაზე. ამ პრობლემის გეოეკონომიკური შესწავლის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველაზე უფრო ზოგად კონცეპტუალურ მიდგომებსა და პერსპექტივებზე, რომლის პრიზმამაც შეიძლება განვიხილოთ მიგრაცია ტრანსსასაზღვრო სტადიაში.

საერთოდ, სასაზღვრო კვლევის გააქტიურება უკავშირდება ტრანსნაციონალური დინებების ირგვლივ გამართულ დისკუსიებს, ვინაიდან „სახელმწიფო საზღვრები გვევლინებიან მედიატორის როლში და, ამ თვალსაზრისით, შუალედური მდგომარეობა მოიაზრება როგორც საზღვრისპირა ტერიტორიის უპირატესობა“ (Elynn:1997: 312).

სახელმწიფოების საზღვრისპირა ტერიტორიები, რომლებიც ამ სახელმწიფოებისათვის მიკროგეოეკონომიკურ პერიფერიებს წარმოადგენენ, მათი შუალედური მდგომარეობის გამო უკვე გვევლინებიან განვითარების ცენტრების რანგში. „საზღვრისპირა ტერიტორიების სტატუსის ცვლილებები ინვესს დეტერიტორიალიზაციის პროცესის პროვოცირებას. კერძოდ, „სოციალური წარმონაქმნები, რომლებიც ყალიბდება სახელმწიფოში მეზობელი სახელმწიფოების გეოეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეთნიკურ პერიფერიებს ფარავენ, რაც, თავის მხრივ, ფაქტობრივად, ანგრევს ტერიტორიის, საზღვრებისა და ეროვნული იდეის გავრცელების საზღვრების სახელმწიფო საზღვრებთან სრული თანხვედრის იდეას“ (Nagata: 1994:63).

ოსკარ მარტინესი, რომელიც ამერიკა-მექსიკის საზღვრისპირა რეგიონების ცნობილ მკვლევარად ითვლება, აღნიშნავს, რომ „ამ ტერიტორიებზე ყალიბდება განსაკუთრებული სივრცე, რომ-

ლის ინიცირებასაც იწვევს ტრანსსაზღვრო სოციალური ქსელე-ბისა და მძლავრი ტრანსსაზღვრო ეკონომიკური კავშირები“ (Martinez: 1994: 10) იმის მიუხედავად, რომ აშშ და მექსიკა რჩებიან ტრანსნაციონალური კავშირების ძლიერ აქტორებად, ამ ტერიტორიებზე ორი სისტემა ერთმანეთს შეერია, რითაც შექმნა ისეთი წესრიგი, როცა „საზღვრისპირა ტერიტორიების მოსახლეობის ცხოვრების წესი და სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სახელმწიფოთა ცენტრალური რეგიონების მცხოვრებთა ცხოვრების წესისა და სტილისაგან“ (Martinez: 1994: 304).

ტრანსნაციონალური მიგრაციის ბევრ კონცეფციაში, რომლებიც ფოკუსირებულია საზღვრის ფენომენზე, აღნიშნულია, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები თანდათან კარგავენ ეროვნულ იდენტობას და ლოიალურობას ერთი სახელმწიფოს მიმართ. დანიელ არეოლა და ჯეიმს კერთისი, აანალიზებენ რა აშშ-ისა და მექსიკის საზღვარზე არსებულ სიტუაციას, აღნიშნავენ, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე ყალიბდება განსაკუთრებული ტურისტული ლანდშაფტები. იმისათვის, რომ გამართლდეს ტურისტთა მოლოდინი მექსიკის საზღვრისპირა ტერიტორიების შესახებ, „ყალიბდება წარმოდგენები მექსიკაზე, როგორც რეალობის, ფანტაზიის, ისტორიისა და მითების განსაკუთრებულ სივრცეზე“ (Arreola and Curtis:1996: 238). უფრო მეტიც, რენატო როსალდო წერს საზღვრისპირა ისტერიაზეც (იგი გულისხმობს იდენტობის კრიზისს – გ.კ), რომელიც „გამონვეულია ცხოვრების დონის სტანდარტებში არსებული უზარმაზარი განსხვავებებით აშშ-სა და მექსიკას შორის“ (Rosaldo:1989:28).

როსალდოსთან დისკუსიაში ჩართულია სასენი, რომელიც ამტკიცებს, რომ ტრანსნაციონალური მიგრაციები გამონვეულია არამხოლოდ სიღარიბით, გადასახადებით ან ეკონომიკური სტაგნაციით. ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ აშშ-ში ძალზედ დიდია იმ ტრანსმიგრანტების წილი, რომლებიც ქვეყანაში შედიან იმ ტერიტორიებიდან, რომლითაც მიაღწიეს განვითარების საკმაოდ მაღალ დო-

ნეს. კერძოდ, იგი ასახელებს მექსიკას, კარიბის აუზის, სამხრეთ და სამხრეთ-აზიის შედარებით უკეთ განვითარებულ ქვეყნებს. მეცნიერი შენიშნავს, რომ მიგრაციის დონორებს წარმოადგენენ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკურ განვითარებას მხარს უჭერდა აშშ FDI-ს (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) პროგრამის მეშვეობით. ის ამტკიცებს, რომ FDI-ს პროგრამა ხელს უწყობს ორი ისეთი პროცესის განვითარებას, რომლებიც სტიმულს აძლევენ ტრანსნაციონალურ მიგრაციებს. მას მხედველობაში აქვს ის ინვესტიციები რომლებიც ორიენტირებულია მრეწველობის დარგების ექსპორტზე და რომლებიც გეოეკონომიკურ პერიფერიებზე ანგრევენ ტრადიციულ შრომით სტუქტურებს (გეოეკონომიკურ პერიფერიებზე ქალთა დიდი რაოდენობით დასაქმებამ წარმოშვა მამაკაცთა შორის უმუშევრობა, გაძლიერდა მიგრაციები სოფლებიდან ქალაქებში და შეიქმნა ქალაქის ანაზღაურებადი სამუშაო ძალა და ა.შ.), რამაც გამოიწვია მოსახლეობის თავისუფალი გეოგრაფიული და გეოეკონომიკური მობილიზაცია. მეორე მხრივ, უცხოური საქონლის, კაპიტალის, ტექნოლოგიების (მათ შორის, ინფორმაციული), მომსახურებისა და კულტურის პროდუქტების გაცვლების მზარდი მასშტაბები ქმნიან სამუშაო ძალის ცირკულაციის ტრანსნაციონალურ სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოების ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს ტრანსნაციონალური შრომითი მიგრაციების მობილიზებას, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს შრომის გლობალური ბაზრის ფორმირების ადრეულ სტადიას.

საინტერესოა, რომ აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა საზღვრის კვლევა ვითარდება რამდენადმე განსხვავებული მიმართულებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ თანამედროვე ურთიერთგავლენასა და ცირკულაციაზე, არამედ ისტორიულ და ეთნიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ტრანსმიგრაციის აფრიკული ფენომენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ეთნიკური და შემდგომში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებით ორად გაყოფილი სახელმწიფო, საკუთარ იდენტობას ახდენს პოლიტი-

კურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების იგნორირებით ყოველდღიურ ცხოვრებაში (Adefuye: 1985; Asiwaju: 1985).

იმის მიუხედავად, რომ მეცნიერები საზღვრების კვლევის პროცესში განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებენ, ლოგიკურადაც და კვლევის შედეგების მიხედვითაც, მათი პოზიციები ერთმანეთთან ახლოა. (გამონაკლისი ამ მხრივ ზოგიერთი რუსი მეცნიერია. მაგ., ალექსანდრ დუგინი – გ.კ.) მაგალითად, ჯეიმს ჰერცოგმა და პოლ ლორენსმა „ტრანსსასაზღვრო მეტროპოლიების“ კვლევის დროს ყურადღება გაამახვილეს საზღვრისპირა ქალაქებზე (Herzog & Lawrence:1996); გაბრიელა როდრიგესი „არარეგულირებადი მიგრაციის“ კვლევის პროცესში ფოკუსირებულია ტრანსნაციონალიზაციის ისეთ ასპექტზე, როგორცაა სახელმწიფოს პოზიცია საკუთარი საზღვრის გარშემო მიმდინარე ბატალიებში (Rodriguez:1996).

*ტრანსნაციონალური მიგრაცია ტრანსლოკალურობის კონცეფციაში.* ტრანსლოკალურობის კონცეფციას უკავშირებენ ამერიკელი მეცნიერის არჯუნა აპადურაის სახელს. ტერმინის მნიშვნელობას ის განსაზღვრავს ლოკალურობის საკუთარი გაგების შესაბამისად და უპირისპირებს მას „მეზობლობის“ კატეგორიას (neighborhoods, Appadurai:1985). ის აღნიშნავს, რომ ლოკალურობის კვალნარმოება და კონსტრუირება ხდება ადამიანის მიერ როგორც შეგრძნობადობის სტრუქტურა, ხოლო „მეზობლობა“ პირიქით, წარმოდგენს ადამიანთა სოციალური ორგანიზაციის რეალურ ფორმას.

სახელმწიფო (სოციალური ორგანიზაციის ყველაზე მსხვილი აქტორი – გ.კ.) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს „მეზობლობას“ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში. თანამედროვე ერი-სახელმწიფო (მოიაზრება, როგორც სტანდარტიზირებული მოქალაქეების მიერ მეზობლობის ფორმირების პროექტი, დაფარული დისციპლინარული მექანიზმების ან ღია ძალადობის გამოყენებით) სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს „მეზობლობის“ კონსტრუირებას ლო-

კალური სტრუქტურების (ქვემოდან მშენებლობა) მეშვეობით. ამავე დროს, ერი-სახელმწიფოს ტერიტორიული (და არა მარტო) მთლიანობა საფრთხის ქვეშ დგება, რადგან იზრდება ადამიანთა, კაპიტალის, საქონლის და ინფორმაციის დინებები. აპადურაი თვლის, რომ „ადამიანების მობილობა (ტურისტები, დევნილები, შრომითი მიგრანტები, ეკომიგრანტები და ა.შ.) იმის საფუძველს ქმნის, რომ გავერკვეთ ისეთი ტიპის კონფლიქტების ბუნებაში, რომელიც აღმოცენდება სახელმწიფოს ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და, მეორე მხრივ, ტრანსლოკალური დიასპორების ახალ ფორმებს შორის“ (Appadurai:1995:216).

ცნობილია, რომ გლობალური კომუნიკაციების ელექტრონული საშუალებები აიოლებენ და ხელს უწყობენ ტრანსლოკალურობისა და ვირტუალური „მეზობლების“ წარმოქმნას. ამასთან დაკავშირებით, აპადურაი წერს: „კულტურის კვლავწარმოების პრობლემები (გლობალიზირებულ მსოფლიოში – გ.კ.) მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება რასისა და კლასის (გენდერისა და ხელისუფლების) ტერმინებით აღწერას. თუმცა, ისინი, რა თქმა უნდა, ჩართულნი არიან ამ პროცესში. გაცილებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლოკალურობის განვითარება დღეს სუსტდება და ქრება, ვინაიდან ის დიდი წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობს. ხდება რა ადამიანთა გადაადგილების დესტაბილიზაცია, მას ენაცვლება ვირტუალური თანამეგობრობის ახალი სახეობები“ (Appadurai: 1995:221).

დე იონგი (De Jong:1999) არჯუნა აპადურაისთან გარკვეული ფორმით პოლემიკაში შედის და ამტკიცებს, რომ ტერმინი „მეზობლობა“ არ შეიძლება გამოყენებული იქნას მსხვილი სოციალური ერთობების მიმართ (მაგალითად, ეთნიკური ჯგუფები – გ.კ), რომელთა წევრები გაფანტულნი არიან მთელს მსოფლიოში. მისი აზრით, ეს ჯგუფები ჯერ კიდევ წარმოადგენენ თანამეგობრობებს ან თემებს და ისინი კვლავ ქმნიან ტრანსლოკალურობას.

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დე იონგმა სამხრეთ სენეგალში შეისწავლა ეთნიკური ჯგუფი იოლა (Iola), რომელმაც

ბოლო ათწლეულებში ძლიერი მიგრაცია განიცადა. მისი კვლევის შედეგების თანახმად, ამ თემიდან მიგრანტთა გამავალი ნაკადი, რომელიც მიმართული იყო მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის დასამყარებლად და ამდენად ლოკალურობის კვლავწარმოებისაკენ, შემდეგ თანდათან შეიცვალა რეგიონში დაწყებული ისლამიზაციის პროცესის ზეგავლენით. სწორედ ამიტომ, ის ნელ-ნელა შეეთვისა გლობალურ სისტემას, რომლის გამოვლენის ყველაზე არსებითი მომენტი იყო ფულადი გზავნილები. ამჟამად ნეს-ჩვეულება, ტრადიციები, უნარ-ჩვევები და ა.შ. მხოლოდ იმას ემსახურება, რომ მოახდინოს ტრანსლოკალური საზოგადოების ქსელებისა და კავშირების კვლავწარმოება ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, პერმანენტულად შექმნას ტრანსლოკალურობა, როგორც ახალი სოციალური ფორმა.

*ტრანსნაციონალიზმი და გეოეკონომიკური კვლევების პერსპექტივები.* აღნიშნულიდან გამომდინარე, რელევანტური ხდება საკითხის ზოგიერთი პრობლემური არეალის განისაზღვრა და აღნიშნულ კონცეფციათა განვითარების გეოეკონომიკური პერსპექტივები.

ამკარაა, რომ გეოეკონომიკა, ისწრაფვის გლობალური სივრცის ფორმირებისაკენ. ამისათვის მას სჭირდება ანალიტიკური კვლევების გაძლიერება. რა თქმა უნდა, ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია შემოთავაზებულ კონცეფციებში, იცვლება კვლევის ობიექტისა და ფოკუსის შესაბამისად. ტრანსნაციონალური მიგრაციის გეოეკონომიკური კვლევა ფოკუსირდება ადამიანთა გადაადგილებაზე და, შესაბამისად, მისი კვლევის საგანი ხდება ტრანსნაციონალური საზოგადოების ფორმირების, განვითარებისა და ინტეგრაციის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კონცეფციები. საზღვრის, როგორც გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კატეგორიის კვლევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს გეოეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე ერი-სახელმწიფოს როლზე საზღვრისპირა ტერიტორიებთან მიმართებით.

მაკრო ორიენტირებულ მიდგომებში (ინსტიტუტები, ორგანიზაციები, გლობალური ქალაქები, ერი-სახელმწიფოები, ქვეყანა –

სისტემები, მსხვილი გეოეკონომიკური სივრცეები) აქცენტი უნდა გაკეთდეს კულტურულ, ინფორმაციულ და სხვა ტიპის ტრანსნაციონალური დინებების (Gastells: 1989) მიმართულებებზე და მის გეოეკონომიკურ მნიშვნელობაზე.

სრულიად აშკარაა, რომ არსებული გეოსოციალური და გეოპოლიტიკური რეალობის ასახსნელად, გეოეკონომიკაში არ არსებობს კონვენციური თეორიული სქემები და კონცეფციები. ახალი თეორიების აგების მცდელობა მოითხოვს ახალ ტერმინოლოგიასაც. ამასთან, გასაგებია, რომ ახალ კატეგორიათა ურთიერთნააღმდეგობა და ხშირად გაურკვეველობა სულაც არ ამსუბუქებს დისკუსიას.

მიგრაციის კვლევებში ადაპტაცია განიცადა ტრანსნაციონალიზმის ცნებამაც, რომლის მიხედვითაც მიგრანტები, უპირველეს ყოვლისა, განიხილებიან როგორც ერთი ერის წარმომადგენლები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი საქმიანობა სცილდება ერი-სახელმწიფოს საზღვრებს, შესაბამისად, მათ ტრანსმიგრანტებად აქცევს. ამ შემთხვევაში, მეორე ტერმინი „ტრანსლოკალურობა“ სრულიად ადეკვატურია მათი ტერიტორიული ორგანიზაციის სოციალური და ეკონომიკური ფორმების დასახასიათებლად. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, ტრანსმიგრანტები გადაადგილებიან ორ ან უფრო მეტ ერებს შორის და მაშინ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ამ გადაადგილებებთან დაკავშირებულ ტრანსფორმაციებსა და მის სტრუქტურაზე, ტერმინ „ლოკალურობის“ გამოყენება, ამ დროს გაცილებით რელევანტურად გვეჩვენება.

რაც შეეხება ტერმინ „ტრანსნაციონალიზმს“, იგი გაცილებით ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მაკრო დონეზე ანუ ერებს, მსხვილ ორგანიზაციებს ან საზღვარმკვეთ ეკონომიკურ სივრცეებს შორის ურთიერთკავშირსა და ურთიერთამოკიდებულების აღსანიშნავად. ამ პროცესის ფიქსაციისათვის კი, უფრო ზუსტი ტერმინი იქნება გეოეკონომიკური ტრანსნაციონალიზმი.

თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცის ფორმირება თეორეტიკოსებისაგან მოითხოვს გლობალური მსოფლიოს აღქმის აუცილებლობას. მაგალითად, ტერმინოლოგიური გაურკვეველობის

მდგომარეობაში იმყოფება ის თეორიული პერსპექტივა, რომელიც უკავშირდება თანამედროვე ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკურ ტრანსფორმაციას. ცნობილია, რომ გეოეკონომიკას გააჩნია დეტერიტორიალიზაციის ეფექტი (კვინიკაძე: 2008). ერთი მხრივ, გეოეკონომიკური სივრცე ჯერ კიდევ დაკავშირებული და სტრუქტურირებულია ერი-სახელმწიფოებით, მეორე მხრივ, თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფუნქციები და მნიშვნელობა მსოფლიოს ახალ წესრიგში არსებითად ტრანსფორმირდება. პოსტთანამედროვე სახელმწიფოს (გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, დაგვემკვიდრებინა ტერმინი „გეოეკონომიკური სახელმწიფო“) ფაქტობრივი როლის და ფუნქციის დეტერმინირება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი ხდება აკადემიურ დისკუსიებში. სასენი ამტკიცებს, რომ ერი-სახელმწიფოები წარმოადგენენ გლობალიზაციის ინსტრუმენტალურ აგენტებს, რომ ზოგიერთი მისი ფუნქცია კიდევაც გაიზარდა თავისი მნიშვნელობით (მაგალითად მას მოჰყავს ფისკალური პოლიტიკა – გ. კ.).

სასენის საწინააღმდეგოდ, აპადურაი ხაზს უსვამს ერი-სახელმწიფოს შესაძლებლობების შეზღუდულ ხასიათს და ერი-სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კოლექტიურ პროექტს (Appadurai: 1993). ვფიქრობ, რომ ორივე მოსაზრებას გააჩნია არსებობის უფლება. თუნდაც იმიტომ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა ეკონომიკების ტრანსნაციონალიზაციის ხარისხი გეოგრაფიულად ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გლობალური გეოეკონომიკური სივრცის მნიშვნელოვან ნაწილში სახელმწიფოები იმყოფებიან ერის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (გეოეკონომიკური პერიფერია) მაშინ, როცა სხვა ნაწილში მიმდინარეობს ნებაყოფლობითი (თუმცა, კონფლიქტების თანხლებით) დენაციონალიზაცია – პრივატიზაცია (გეოეკონომიკური ნახევრად პერიფერიები) და გაცილებით მაღალი ხარისხის ინტეგრაცია ახალ გეოეკონომიკურ სივრცესთან მაშინ, როცა გეოეკონომიკური ბირთვის შემადგენლობაში მყოფმა ქვეყნებმა უკვე გეოეკონომიკურ (პოსტთანამედროვე) სახელმწიფოთა სტატუსი შეიძინეს.

გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები

ტრანსნაციონალიზაციის ძალები ერ-სახელმწიფოზე სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენს. ტრანსმიგრანტთა დიდი ნაკადების მოძალების შემთხვევაში, ერი-სახელმწიფოების მთავრობები იძულებულნი გახდებიან მკაცრად გააკონტროლონ საკუთარი ტერიტორიები (იმავე სელექციური მიგრაციის მეშვეობით) ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, მიგრაციის საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დაცვით.

გეოეკონომიკური ბირთვის ქვეყნები, დიდი ალბათობით, მომავალში კვლავ მოგვევლინებიან ტრანსნაციონალური გაცვლების კატალიზატორის როლში, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ვერ ან არ არიან კონკურენტუნარიანები გლობალურ ბაზრებზე.

*ტრანსნაციონალური მიგრაცია, როგორც განვითარების გეოეკონომიკური ბერკეტი.* ცნობილი ფაქტია, რომ ტრანსნაციონალური მიგრაცია მონოდებულია შეარბილოს დემოგრაფიული და ეკონომიკური ხასიათის ტერიტორიული დისპროპორციები. თუ ფრანგ მეცნიერს ჟან კლოდ შონეს დავესესხებით, ტრანსნაციონალური მიგრაცია ხდება სამი აქტორის – იმიგრანტის, დონორი ქვეყნისა და ქვეყანა რეციპიენტის – მონაწილეობით, რომელიც დადებითი შედეგით მთავრდება.

ტრანსნაციონალურ მიგრაციებში ნაკლებადაა შესწავლილი მიგრანტთა დონორ ქვეყნებში არსებული სიტუაცია და, როგორც ნესი, განიხილება კეთილგანზრახვითი იდეოლოგიის პრიზმაში, რომელსაც რეალობასთან ცოტა თუ აქვს საერთო.

იმიგრანტს, რომელიც საზღვარს ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჰკვეთს, გააჩნია ნათელი მოტივაცია: ა) ეს არის მისი და მისი ოჯახის გადარჩენის საკითხი; ბ) საკუთარ სამშობლოში გამეფებული უმუშევრობის და სიღატაკის დავიწყება. ის ცდილობს მიაღწიოს ელდორადოს, სადაც ხელფასი ხშირად 10-20-ჯერ აჭარბებს მის სამშობლოში არსებულ ხელფასს. ტრანსმიგრანტი ხშირად განიცდის ექსპლუატაციას რეციპიენტ ქვეყანაში (ხელფასის, შრომის და ა.შ.). თუმცა, თავის ახალ პირობებს ის ადარებს არა იმ ქვეყანაში არსებულ პირობებს, სადაც ის იმყოფება, არამედ

იმ პირობებს რომლებშიც იმყოფებიან სამშობლოში დარჩენილი მისი თანამემამულეები და იმ ტრაექტორიას, რომელსაც ის გაივლიდა, თუ საკუთარ ქვეყანაში დარჩებოდა. ამიტომ ტრანსმიგრანტი თანხმდება ყველა იმ „ჭუჭყიან“, ძნელ და ხშირად ჯანმრთელობისათვის სახიფათო სამუშაოს, რომელსაც უარყოფს ქვეყანა რეციპიენტის მოსახლეობა. მისთვის ეს არის პირადული არჩევანი, რომელიც ამაღლებს მას თავის თანამემამულეთა თვალში და რომელიც მას აძლევს გამოცდილებას, პროფესიას და ღირსეული ცხოვრების შანსს.

ამის ნათელი დადასტურებაა დაბრუნებაზე ფულადი დახმარების პოლიტიკის კრახი ანუ დახმარება იმ უცხოელ მუშებზე, რომლებიც თანახმანი იყვნენ დაბრუნებულნი იყვნენ სამშობლოში (ასეთი პრაქტიკა გააჩნდა გერმანიას, საფრანგეთს, შვეიცარიას, იტალიას და ა.შ.). ეს იყო 1973-1974 წწ., როცა განვითარდა ნავთობის კრიზისი, რაც ნიშნავდა ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას და ა.შ. ამ პერიოდში ვერ იმუშავა მაღალმა ფინანსურმა სტიმულებმა და ტრანსმიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

ამის მიზეზი ისიცაა, რომ იმიგრაცია წარმოადგენს ოჯახური სტრატეგიის (სოციალური სტატუსის ამაღლება, ფულადი გზავნილები იმ ახლობლებთან რომლებიც სილატაკეში ცხოვრობენ, კაპიტალის დაგროვებისაკენ სწრაფვა, რათა ააშენონ სახლი ან წამოიწყონ ბიზნესი და ა.შ.) ნაწილს, რომელიც ტრანსმიგრანტისათვის უმნიშვნელოვანესი ფენომენია. ტრანსმიგრანტთა შორის ამჟამად შეინიშნება უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე და გაცილებით ძლიერი სწრაფვა სამუშაოსადმი, ვიდრე ეს არის რეციპიენტი ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობაში, ვინაიდან ტრანსმიგრანტი მეტადაა მოტივირებული.

ქვეყანა-რეციპიენტისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაზარდოს საკუთარი სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. ეს ეხება როგორც კვალიფიციური მუშახელით დასაქმებულ ზოგიერთ სექტორს (ინჟინრები, ჯანდაცვის

მუშაკები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ.) ასევე ხელით შრომის სფეროს ან სპეციალობებს, რომელიც სულაც არაა ქვეყანა-რეციპიენტში მცხოვრები განათლებული ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი (დამლაგებლები, შინამოსამსახურეები, ბავშვთა და მოხუცთა მომვლელები, მებაღეები, სამშენებლო სექტორში დასაქმებულები, ოფიციანტები, ტაქსის მძღოლები და ა.შ.). ქირაობენ რა უცხოელ მუშებს, ბევრი სანარმო აღარ კოტრდება, ხოლო გეოეკონომიკური სივრცე ამით უფრო მოქნილი ხდება. რაც შეეხება მომხმარებელს, იმის გამო, რომ ის იაფ მუშახელს წარმოადგენს, ის ფინანსურად იგებს და მის მიერ დაზოგილი თანხები კვლავ ინვესტირდება ეკონომიკაში.

ქვეყანა რეციპიენტის მოქალაქეებში „სტატუსის დაკარგვის შიში“ (ასე უწოდა მას ფრანგმა დემოგრაფმა ალფრედ სოვიმ) წარმოადგენს დისკრიმინაციის მიზეზს. კერძო მსხვილი საწარმოები მონესრიგებისათვის (დალაგებისათვის) ეძებენ ტრანსმიგრანტებს, რადგან მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ამ სამუშაოს არაპრესტიჟულად მიიჩნევს და ცდილობს იცხოვროს მხოლოდ სახელმწიფო დახმარებების ხარჯზე (რომლებიც ხშირად არარეგისტრირებულ საქმიანობაშიც მონაწილეობენ).

საერთოდ, იმიგრაცია ხელს უწყობს შემსყიდველუნარიანობის ზრდას (ტრანსმიგრანტები აწარმოებენ შედარებით დაბალი თვითღირებულების პროდუქტებსა და მომსახურებას) და დადებითად მოქმედებს მოსახლეობის სოციალურ მობილობაზე ქვეყანა-რეციპიენტის შიგნით. საუბარია არა სოციალური დაძაბულობის, დანაშაულის ან ინტეგრაციის დანახარჯების ლიკვიდაციაზე, არამედ იმ ზოგიერთ ეკონომიკურ ფაქტორზე, რომელიც, როგორც წესი, მასმედიის მიღმა რჩება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმიგრაციას მიყვავართ მწარმოებლურობის ამაღლებამდე, რადგან, როგორც წესი, მასში ყველაზე უკეთესები, ყველაზე ჭკვიანები, ყველაზე კვალიფიციური ადამიანები მონაწილეობენ. ამ კატეგორიაში შედიან ის ტრანსმიგრანტებიც, რომლებიც ისწრაფვიან შექმნან საკუთარი ბიზნესი (“family/community-business”).

რაც შეეხება მიგრაციის დონორ ქვეყნებს, ინტერნეტით გადა-რიცხული ფულადი გზავნილების სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმ-სჯელებთ, ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ტრანსმიგრანტების ფულით საზრდოობს გეოეკონომიკური პერიფერია. მსოფლიო ბანკის გათვლებით (იმ ფულადი გზავნილების გამოკლებით, რომლებიც არაოფიციალური გზებით იქნა გადაგზავნილი და დაახლოებით 300 მლრდ დოლარს შეადგენს) ტრანსმიგრანტების ფულადმა გზავნილებმა 2004 წელს, 100 მლრდ დოლარს მიაღწია. რაც ჯამში 400 მლრდ დოლარს შეადგენს. ეს თანხა კი ბევრად აჭარბებს გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნებისათვის განეული ოფიციალური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობებს. გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნებში ტრანსმიგრანტთა ფულადი გზავნილები წარმოადგენს იმ უცხოური ვალუტის პირველ ან მეორე წყაროს, რომლითაც ხდება უცხოური შესყიდვების დაფინანსება, ინფრასტრუქტურის (გზების, საავადმყოფოების, სკოლების და ა.შ. მშენებლობა) შექმნის პროექტების რეალიზაცია და ადგილობრივ მოსახლეობაზე კრედიტების გაცემა კერძო ბიზნესის წამოწყებისათვის.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო მოზარდებისათვის სასკოლო დაწესებულებებში განათლების მიღებას. ბუნებრივია, რომ გეოეკონომიკური ბირთვის ეკონომიკებისათვის ტრანსმიგრანტები წარმოადგენენ დამხმარე მუშებს, ხოლო გეოეკონომიკური პერიფერიებისათვის (ხშირად, ნახევრადპერიფერიებისათვისაც) სერიოზული დამფინანსებლები არიან, რამდენადაც პერმანენტულად ზრდიან თავის წვლილს იმ შენატანებზე, რომელიც ხმარდება განვითარებისათვის ათასწლეულის მიზნებს (ეს არის სილატაკის შემცირების განხვევრების გაეროს პროგრამა 2015 წლისათვის).

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ტრანსნაციონალური მიგრაცია ხელს უწყობს: გეოეკონომიკური პერიფერიის განვითარებას და წარმოადგენს სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას. უმეტეს შემთხვევაში, ის ფული რომელიც ეგზავნება ტრანსმიგრანტის

სამშობლოში დარჩენილ ნათესავებს, შეიძლება შეადგენდეს ტრანსმიგრანტის ხელფასის 1/4-ს ან 1/5-ს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დონორ და რეციპიენტ ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეებში არსებულ სხვაობას (იგი უშუალოდ შეიძლება იყოს 1:5), ტრანსმიგრანტთა გამოგზავნილმა ფულმა შეიძლება ოჯახის შემოსავლების ნახევარი შეადგინოს.

ამდენად, ტრანსნაციონალური მიგრაცია, ეს არის დინამიკური ინტერაქტიული პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი შემოსავლების ზრდას, რაც ხშირად:

- ა) სათანადოდ არ არის გაშუქებული;
- ბ) სათანადოდ ვერ ან არ ფასდება სტატისტიკის მიერ.

*ტრანსნაციონალური მიგრაციის ინტერნაციონალიზაცია გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში.* გეოეკონომიკური პერიფერიის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელიც ძალზე ზოგადად გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ინტეგრაციას. ამ უკანასკნელში, როგორც წესი, მოიაზრება კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ცოდნის მობილობის ზრდა, ასევე, საქონლისა და მომსახურების ტრანსნაციონალური ვაჭრობის გაძლიერება. უახლოეს წარსულში, ეს პროცესი, იზღუდებოდა სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის არსებობით (ამჟამად, ასეთი შემზღუდველია რუსეთის ფედერაცია, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ნიკარაგუა, კუბა, ვენესუელა და აფრიკის დიქტატორული რეჟიმების რიგი სახლმნიფოები) და ვითარდებოდა მსოფლიო მოსახლეობის არცთუ დიდ ნაწილში – დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და „აზიის ვეფხვები“ (აღმოსვლეთი აზია). ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს პროცესი დაჩქარდა. მისი ინიცირება მოახდინა ქვეყნებს შორის ოფიციალური ხელშეკრულებისა და შეთანხმებების დადებამ (მაგალითად, იმავე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში), რამაც აღნიშნულ პროცესს ნამდვილად გლობალური ხასიათი შესძინა.

თუმცა, კაპიტალის, საქონლის და მომსახურების ინსტიტუციონალურად მეტ-ნაკლებად თავისუფალი მოძრაობა, არ აერთია-

ნებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს – სამუშაო ძალას. ტრანსნაციონალური მიგრაცია დარჩა, როგორც საბაზო პრინციპი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, რათა დაექვემდებაროს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს იმ ფორმით, როგორც მას განსაზღვრავს ქვეყნის მთავრობა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალური მიგრაციის გეოეკონომიკური კვლევა გაცილებით კომპლექსური და ზუსტია, ვიდრე მის მიმართ საზოგადოებრივი წარმოდგენაა. ამ კუთხით მას დიდი პერსპექტივები გააჩნია.

### **გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:**

1. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა თბ., 2008.
2. The Kakwa of Uganda and the Sudan: The Ethnic Factor in National and International Politics // Anthony L. Asiwaju (ed.): Partitioned Africans. Ethnic Relations across Africa s International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press, 1985, p.51-69.
3. Travelling Beyond Local Cultures. Socioscapes in a Global City // John Eade (ed.): Living in the Global City. Globalization as a Local Process, London; Routledge, 1997, p.37-55.
4. Patriotism and Its Futures // public Culture. 1993. 5, Number 3, p. 411-429.
5. The Production of Locality // Richard Fardon (ed.): Counterworks. Managing the Diversity of Knowledge. London: Routledge, 1995, p. 204-225.
6. Tourist Landscapes // Oscar J. Marthinez (ed.): U.s. – Mexico Borderlands. Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11), 1996, p. 236-243.
7. (ed.) Partitioned Africans. Ethnic Relations across Africans International Boundaries 1884-1984, Lagos: University of Lagos Press, 1985.

8. Transnationalism. London: Sage (Current Sociology, 41,3, Winter), 1993.
9. The Informational City. Oxford: Blackwell, 1989.
10. (eds.) Circulation in Population Movement. Substance and Concepts from the Melanesian Case. London: Routledge and Kegan Paul, 1985.
11. The Production of Translocality, Initiation in the Sacred Grove in Southern Senegal // Richard Fardon, Wim van Binsbergen, Rijk van Dijk (eds.): Modernity an a Shoestring. EIDOS, Leiden, 1999.
12. Globalised Market Culture and Market Fundamentalism. EIDOS Conference on Globalization, Development and the Making of Consumers: What are Collective Identifies for? The Maguey 13-16 March, 1997.
13. Global Market and Social Transformation. University of Bielefeld, Sociology of Development Research Centre: Working Paper. 1995, No 234.
14. Undoing Culture. London: Sage, 1995.
15. We are the Border; Identity Exchange, and the State along the Benin – Nigeria Border // American Ethnologist. 1997, 24(2). p. 311-330.
16. The Consequences of Modernity. Cambridge: Polity Press, 1990.
17. (eds.). Towards a Transnational perspective on Migration. Race, Class, Ethnicity and Nationalism Reconsidered. N.Y.: Annals of the New York Academy of Sciences, 1992, vol. 645.
18. Everywhere we go, We are In Danger: Ti Manna and the Emergence of a Haitian Transnational Identity // American Ethnologist. 1990, 17(2), p. 329-347.
19. Circulation in South East // Murray Chapman, R. Mansell Prothero (eds.). Circulation in population Movement. substance and Concepts from the Melanesian Case, London: Routledge and Kegan Paul, 1985, p. 377-406.
20. Transnational Connections. Culture, People, Places, London, New York: Routledge, 1996.

21. The Condition of Post modernity. Oxford: Basil Blackwell, 1989.
22. Border commuter Workers and Transfrontier Metropolitan structures along the U.S. – Mexico Border // Oscar J. Marthnez (ed.), U.S. – Mexico Borderlands: Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11), 1996, p.176-189.
23. Border People: Life and Society in the U.S. – Mexico Borderlands. Tucson and London: The University of Arizona Press, 1994.
24. How to be Islamic without being an Islamic state. Contested Models of Development in Malaysia // Ahmed Akbar, Hasting Donnan (eds.) Islam, Globalization and Post modernity, London and New York: Routledge, 1994, p. 63-91.
25. Latin Journey: Cuban and Mexican Immigrants in the United States, Berkley: University of California Press, 1985.
26. Transnational Soziale Rdume. Theoretisch-empirische skizze am Beispiel Mexico – U.S.A. // Soziologie, 1996, 25(2) Des. p. 456-472.
27. Globalization: Social Theory and Global Culture. London: Sage, 1992.
28. Globalization: Time-space and Homogeneity – heterogeneity // Michael Featherstone, Scott Lash, Roland Robertson (eds.) Global Modernities. London: sage, 1995 p. 23-44.
29. The Battle for the Border: Notes on Autonomous Migration, Transnational Communities, and the State // Social Justice, 1996. 23 3(65), Fall: 2137.
30. Culture and Truth: The remaking of Social Analysis. Boston: Beacon Press, 1989.
31. Mexican Migration and the Migration and the Social Space of post modernism // David G. Gutierrez (ed.). Between Two Words: Mexican Immigrants in the United States. Wilmington, Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15), 1996, p. 247-263.
32. Sassen, U.S. Immigration Policy toward Mexico in a Global Economy // David G. Gutierrez (ed). Between Two Worlds: Mexican

Immigrants in the United States. wilmington Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15), 1996 p. 213-227.

33. The Global City: New York, London, Tokyo. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1991.

34. За пределами идентичности // АБ Imperio. 2002. 3, стр. 61-115.

**The Geoeconomic Problems of Migration and Nation-state  
in the concepts of Transnationalism and Translocality**

**Abstract**

It is clear that the terms “Globalization”, “Deterritorialization”, “Translocality”, “Tran-nationality”, “Society Space” have a common implication and are connected with each other although they are used in different research context and belong to different social phenomena. Our interest toward the noted problem, first of all, is connected with the use of tasks in such field of constructive Geo-Economy as transnational migrations and their effect on the functionality of a nation-state. This can be considered as a new method of approach to the study the problem. During the research, we tried to define the problem area of future economic investigations in the context of transmigration and its influence on a nation-state.

## ბიბლიოგრაფია

1. ზ. დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბ., 2003.
2. ა. გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. თბ., 1997.
3. გ. კვინიკაძე. გლობალისტიკა და გლობალიზაცია. ახალციხე-თბილისი 2006.
4. გ. კვინიკაძე. გეოეკონომიკა. თბ., 2008.
5. გ. კვინიკაძე. გლობალიზაცია და კავკასიის ახალი გეოეკონომიკური რეალობა. აკად. სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. გამ. „უნივერსალი“ თბ., 2009.
6. გ. კვინიკაძე. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა-საქართველოს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთადერთი გზა. ჟურნ. „დრომიკოსი“. იანვარი 2010.
7. Ansell C. The Networked Polity: Regional Development in Western Europe, Governance, vol. 13, №2, 2000.
8. Attali J. Lignes d'horizon. Paris, 1990.
9. Bernand Cazes. Entre geostrategie et geoeconomie. 1998, p. 449.
10. Bernand Gates. Entre geostrategie et geoeconomie – Commentaire etc. 1994, p. 449.
11. Border Commuter Workers and Transfrontier Metropolitan structures along the U.S.-Mexico Border//Oscar J. Marthnez (ed.) U.S.-Mexico Borderlands: Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11). 1996, p. 176-189.
12. Border People: Life and Society in the U.S.-Mexico Borderlands. Tucson and London: The University of Arizona Press, 1994.
13. Carlo Jean. Geopolitica, Laterza. Roma, Bari. 1995, p. 137-144.
14. Casey T. Social Capital and Regional Economies in Britain. Poli-

- tical Studies, vol. 25. №1, 2004.
15. Casson M. Analyzing Regional Business Networks: An Economic Perspective. University of Reading, Department of Economics Working Paper, 2002.
  16. Cox. R.W. Global perestroika /Approaches to world Order/ R.W.Cox, T. J. Sinclair (eds). Cambridge,1996. p. 302; Hirst P. Tompson G. Globalization and the Future of the Nation State//Economy and Society L. 1995, vol. 24, №3, p.44.
  17. Circulation in South East//Murray Chapman, R. Mansell Prothero (eds.). Circulation in population Movement. Substance and Concepts from the Melanesian Case, London: Routledge and Kegan Paul, 1985, p. 377-406.
  18. Culture and Truth: The Remaking of Social Analysis. Boston: Beacon Press, 1989.
  19. Daniel F. Borton Jr. Competitiveness: Here to Stay. The Washington Quarterly, autumn 1994, p. 99-109.
  20. Dixit, Avinash K.; Stiglitz, Joseph E. Monopolistic Competition and Optimum Product Diversity//The American Economic Review. 1977, vol. 67. № 3.
  21. Drucker P.F. Trade Lessons from the World Economy//Foreign Affairs, jan./feb. 1994, p. 99-108.
  22. Edward Luttwak. The Coming Global War for Economic Power. The International Economy, September-October. 1993. p 19-20; 64-67.
  23. Edward N. Luttwak. From Geopolitics to Geoeconomics. Logic of Conflict, Grammar of Commerce, cit., 1990 p. 104.
  24. Edward Luttwak. The Endangered American Dream. Simon and Schuster. New York. 1993, p. 35-43.
  25. Ernest H. Preeg. Krugmanian Competitiveness: A Dangerous Obsession. The Washington Quarterly, autumn 1994, p. 111-122; Eric R. Petersen, Looming Collision of Capitalism? The Washington Quarterly, spring 1994, p. 65-75.
  26. Everywhere We Go, We are in Danger: Ti Manna and the Emer-

- gence of a Haitian Transnational Identity//American Ethnologist. 1990, 17(2), p. 329-347.
27. F. Fukuyama. The End of History//The National Interest, summer, 1989, № 16.
  28. Fujita M., Krugman P. The New Economic Geography: Past, Present and the Future Papers in Regional Science. Wiley-Blackwell, 2004, vol. 83, p. 139-164. DOI:10.1007/s10110-003-0180-0.
  29. G. Kvinikadze, K. Pkhakadze. The subject of Geoeconomics - polemics around the new discipline. "Ekonomika". Monthly International. Reviewed and refereed scientific journal, 2012, № 5-6.
  30. Globalization: Social Theory and Global Culture. London: Sage, 1992.
  31. Globalization: Time-space and Homogeneity-heterogeneity//Michael Featherstone, Scott Lash, Roland Robertson (eds.) Global Modernities. London: sage, 1995, p. 23-44.
  32. Global Market and Social Transformation. University of Bielefeld, Sociology of Development Research Centre: Working Paper. 1995, No 234.
  33. Globalised Market Culture and Market Fundamentalism. EIDOS Conference on Globalization, Development and the Making of Consumers: What are Collective Identities for? The Maguey 13-16 March, 1997.
  34. Helliwell J. How much do National Borders Matter? New York: Brooking Institution Press, 1998.
  35. How to be Islamic without being an Islamic state. Contested Models of Development in Malaysia//Ahmed Akbar, Hasting Donnan (eds.) Islam, Globalization and Post modernity, London and New York: Roulledge, 1994, p. 63-91.
  36. J. Wallersten. The Insurmountable contradiction of liberalism: Human Rights and people in the Geoculture of the modern World-System. N.Y., 1993.
  37. J. Scholte. Globalization. A Critical Introduction. N.Y. Palgrave, 2000.

38. J. Naisbitt. Abridene P. Mega Trends 2000: The Next Ten Years, L., 1990.
39. J. Naisbitt. Global Paradox: The Bigger the World Economy, the More Powerful its Smaller Players. N.Y., 1994.
40. Krugman P. R. Introduction//Development, Geography, and Economic Theory. Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1995, p.127//ISBN 0-262-11203-5.
41. K. Ohmae. The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. N.Y., 1990.
42. K. Ohmae. The End of the Nation State: The Rise of Regional Economies. L., 1995.
43. K. Waltr. The Emerging Structure of International Politics. International Security. Autumn, 1993, vol. 18 Issue 2.
44. Latin Journey: Cuban and Mexican Immigrants in the United States. Berkley: University of California Press, 1985.
45. Luttwak E. N. From Geopolitics to Geo-economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce. The National Interest. Summer 1990, p. 17-23.
46. Luttwak. Turbo-Capitalism: Winners and Losers in the Global Economy, L., 1998.
47. Luttwak E. N. The Endangered American Dream. New York: Simon and Schuster, 1993.
48. Luttwak E. N. Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy. L., 1998.
49. Mexican Migration and the Migration and the Social Space of Post Modernism//David G. Gutierrez (ed.). Between Two Words: Mexican Immigrants in the United States. Wilmington, Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15), 1996, p. 247-263.
50. Mc. Luhan H.M., Powers B.R. The Global Village: Transformations in World Life and Media in the 21<sup>st</sup> Century. Oxford University Press, 1989.
51. N. Chomsky. World Order, Old and New. L. Pluto Press, 1994.

52. Ohmae K. *The Borderless World: Power and Strategy in the Inter-linked Economy*. N.Y., 1990; *The End of the nation state: The Rise of Regional Economies*. L., 1995.
53. *Patriotism and its Future // Public Culture*. 1993, 5. p. 411-429.
54. Paul Krugman (ed.). *Geography and Trade*. Cambridge (Mass.): Mit, Cambridge University Press, 1991.
55. Paul Krugman, *Competitiveness: A Dangerous Obsession*. *Foreign Affairs*. March-April 1994, p. 28-44.
56. Porter Michael. *The Competitive Advantage of Nations*, London: MacMillan, 1990.
57. Paul Krugman (ed.). *Geography and Trade*. Cambridge University Press, Cambridge (Mass.), 1991, p. 83-90; Joseph S. Nye. *Soft Power*. *Foreign Policy*. Fall 1990, p. 153-175.
58. Peter F. Drucker. *Trade Lessons from the World Economy*. *Foreign Affairs*, Jan./Feb. 1994, p. 99-108, p. 107-108.
59. Robert M. Solow. *Q mercato del lavoro come istituzione social*. Il Mulino, Bologna, 1994.
60. Raymond Vemon. *Geo-Economics 101. The National Interest*. Winter 1993-1994, p.104.
61. R. Cox. *Approach to World Order*, Cambridge. Cambridge University Press, 1996.
62. R. Gachechiladze. *Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players//Geopolitics*. Summer 2002, vol. 7 № 1 Sassen S. *The Global City: New York, London, Tokyo, Princeton*, 1991.
63. Sassen S., *U.S. Immigration Policy toward Mexico in a Global Economy//David G. Gutierrez (ed). Between Two Worlds: Mexican Immigrants in the United States*. Wilmington Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15) 1996, p. 213-227.
64. S. Huntington. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. N.Y. Simon & Shuster. 1996.
65. Tayler P., Flint G., *Political geography, world-economy nation-*

- state and locality. Fourth edition Harlow Hall. (London), 2000.
66. Tayler P., The state as container: territoriality in the modern world-system//Progress in Human Geography, 1994, vol.18, p.151-162.
  67. Tool G., Critical Geopolitics. The Politics of Writing Global Space. Minneapolis: University of Minnesota Press, 1996.
  68. The Battle for the Border: Notes on Autonomous Migration, Transnational Communities and the State//Social Justice, 1996, 23 3(65). Fall: 2137.
  69. The Condition of Post modernity. Oxford: Basil Blackwell, 1989
  70. The Consequences of Modernity. Cambridge: Polity Press. 1990
  71. The Global City: New York, London, Tokyo. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1991.
  72. The Kakwa of Uganda and the Sudan: The Ethnic Factor in National and International Politics//Anthony L. Asiawaju (ed.): Partitioned Africans. Ethnic Relations across Africa s International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press. 1985, p. 51-69.
  73. Travelling Beyond Local Cultures. Socioscapes in a Global City//John Eade (ed.): Living in the Global City. Globalization as a Local Process, London; Routledge, 1997, p. 37-55.
  74. The Informational City. Oxford: Blackwell, 1989.
  75. The Kakwa of Uganda and the Sudan: The Ethnic Factor in National and International Politics//Anthony L. Asiawaju (ed.): Partitioned Africans. Ethnic Relations across Africa's International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press, 1985, p. 51-69.
  76. The Production of Locality//Richard Fardon (ed.): Counterworks. Managing the Diversity of Knowledge. London: Routledge, 1995, p. 204-225.
  77. The Production of Translocality, Initiation in the Sacred Grove in Southern Senegal//Richard Fardon, Wim van Binsbergen, Rijk van Dijk (eds.): Modernity an a Shoestring. EIDOS, Leiden, 1999.
  78. The Global Competitiveness Report: 1999; 2001; 2007.

79. Tourist Landscapes//Oscar J. Marthinez (ed.): U.s.-Mexico Borderlands. Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11), 1996, p. 236-243.
80. Trigilia C. Social Capital and Local Development. European Journal of Social Theory, №4, 2001.
81. Travelling Beyond Local Cultures. Socioscapes in a Global City// John Eade (ed.): Living in the Global City. Globalization as a Local Process, London; Routledge, 1997, p. 37-55.
82. Transnationalism. London: Sage (Current Sociology, 41,3. Winter, 1993.
83. Transnational Connections. Culture, People, Places. London, New York: Routledge, 1996.
84. Transnational Soziale Rdume. Theoretisch-empirische skizze am Beispiel Mexico-U.S.A. //Soziologie. 1996, 25(2) Des. p. 456-472
85. Undoing Culture. London: Sage, 1995.
86. Vemon R. Geo-Economics//The National Interest. Winter 1991-1994.
87. "We are the Border": Identity Exchange, and the State along the Benin-Nigeria Border//American Ethnologist. 1997. 24(2). p. 311-330.
88. Wallersterin I., The Modern World-System I: Capitalist Agriculture and the Origins of the European World-Economy in the Sixteenth Century. N.Y., L., 1974.
89. Wallersterin I., The Capitalist World-Economy. Cambridge, 1979
90. Wallerstein I., The Modern World-System II: Mercantilism and the Consolidation of the European World-Economy, 1600-1750. N.Y.,1980.
91. Wallerstein I. The Modern World-System III: The Second Great Expansion of the Capitalist World-Economy, 1730-1840's. San Diego, 1989.
92. Wu Chung-Tong. Cross-border development in Europe and Asia. Geojournal, vol. 44. № 3.1998, p. 189-201.

93. (ed.) Partitioned Africans. Ethnic Relations across Africa's International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press, 1985.
94. (eds.) Circulation in Population Movement. Substance and Concepts from the Melanesian Case. London: Routledge and Kegan Paul, 1985.
95. (eds.). Towards a Transnational perspective on Migration. Race, Class, Ethnicity and Nationalism Reconsidered. N.Y.: Annals of the New York Academy of Sciences, 1992, vol. 645.
96. За пределами идентичности // АБ Imperio. 2002. 3. с 61-115.
97. Д. Айвазов. [www.ca-c.org/c-g/2006/journal\\_rus/c-g-1/03](http://www.ca-c.org/c-g/2006/journal_rus/c-g-1/03)
98. [.www.wto/org](http://www.wto/org)

გამომცემლობის რედაქტორები:

მაია ეჯიბია

ნანა კაჭაბავა

გარეკანის დიზაინი

დაკაბადონება

ხათუთა ბადრიძე

TSU Press Editors

Maia Ejibia

Nana Kachabava

Cover Designer

Compositor

Khatuta Badridze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel. 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)